# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.


პარასკევი, 7 ნოემბერი, 2014 წელი.

№227 (7608)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## დროის დუღილი

- რა „ფორმა ეცვა“ მინისტრის პროტესტს? (2)
- ალასანიამ კორუფციული ბრალდებების გადასაფარად პოლიტიკური ტრიუკი გამოიყენა (3)
- ერთი ავანტიურისტი, უჭკუო და ამბიციური მინისტრი ჩამოშორდა მთავრობას, ამით ცუდიც არაფერი მომხდარა



დედაქალაქის არქიტექტურულ-ურბანული პრობლემები გაქრილი ვაშლივით ჰგავს ქვეყანაში ბოლო ხანს ზვავივით აგორებულ პოლიტიკურ პრობლემებს.

დღეს პოლიტიკასთან ერთად არქიტექტურის ჯერიც დადგა. გვესაუბრება „საქართველოს რესპუბლიკის“ ურბანულ-არქიტექტურული პრობლემების ექსპერტი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ვახტანგ დავითაია.

## ხელი არ გამოჰკრათ

## მომაკვდინებელ სასხლეტს!



დედაქალაქის ხელმძღვანელთა საყურადღებოდ! (6)



(4) ლევან ალაფიშვილი:

## მთავარია, სახელისუფლებო კრიზისი სახელმწიფოებრივში არ გადაიზარდოს

## ჩვენ, ოდესღაც წელგამართულად მცხოვრებნი...




(5)



სერიიდან „წმინდა მიწა“

## დიდებისკენ მიმავალი ტკივილიანი გზა

(9)

## გარდაიცვალა გურამ ფირცხალავა



74 წლის ასაკში ცნობილი ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი გურამ ფირცხალავა გარდაიცვალა. გურამ ფირცხალავა 1940 წლის 18 თებერვალს ფოთში დაიბადა. 1966 წელს დაამთავრა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი. 1966 წლიდან მუშაობდა გორის გ. ერისთავის სახელობის დრამატულ თეატრში, შემდეგ კი თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. 1972 წლიდან გურამ ფირცხალავა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობი იყო.

## მილიონებად შეფასებული უძრავი ქონება საქართველოში

(11)



## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

# პარლამენტი დღის წესრიგში პრეზიდენტის მიმართვას გაითვალისწინებს

**საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია პარლამენტს თხოვნით მიმართავს, უახლოესი პლენარული სხდომების დღის წესრიგში პრეზიდენტის პარლამენტისადმი მიმართვა გაითვალისწინოს.**

**შესაბამისი თხოვნა ოფიციალური წერილობითი ფორმით ადმინისტრაციისგან პარლამენტს დღეს ან ხვალ გაეგზავნება. როგორც ავლაბრის რეზიდენციაში პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა გიორგი კვერენჩხილაძემ განმარტა, საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის IV პუნქტის პირველი წინადადების შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მიმართოს ხალხს და პარლამენტს.**





**გიორგი კვერენჩხილაძის თქმით, ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა ავსტრიიდან ჩამოსვლისთანავე განცხადება გააკეთა, შესაბამისად ადმინისტრაცია პარლამენტს ოფიციალურად თხოვნით მიმართავს, რომ უახლოესი პლენარული სხდომების დღის წესრიგში პრეზიდენტის საქართველოს პარლამენტისადმი მიმართვა გაითვალისწინოს. გიორგი კვერენჩხილაძე გამოეხმაურა მოსაზრებას, რომ პრეზიდენტს ეს უფლება უკვე გამოყენებული აქვს. მისივე განმარტებით, ეს იყო პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენება ქვეყანაში არსებული მდგომარეობის თაობაზე, ამ შემთხვევაში კი საუბარია პრეზიდენტის უფლებაზე — მიმართოს პარლამენტს.**

**„ყოველწლიური მოხსენების პროცედურები რეგულირდება და იმართება წელიწადში ერთხელ, როგორც წესი, საგაზაფხულო სესიის დაწყებისთანავე. რაც შეეხება პრეზიდენტის კონსტიტუციურ უფლებამოსილებას, რომ მან მიმართოს ხალხს და პარლამენტს — ეს უფლებამოსილებები შესაძლოა, პარლამენტის რეგლამენტში გაწერილი არ არის, თუმცა, პარლამენტის ბიურო ის ორგანოა, რომელიც წყვეტს, პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგის შედგენისა და ნებისმიერი თემის პლენარული სხდომის დღის წესრიგის პროექტის ჩასმის საკითხს", — აღნიშნა გიორგი კვერენჩხილაძე.**

**პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი მზად არის პრეზიდენტს უახლოეს დღეებში უმასპინძლოს.**

# ალასანიამ პოლიტიკური ტრიუკი გამოიყენა



**„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერი ნინო ბურჯანაძე, „თავისუფალი დემოკრატების" მიერ ქვეყნის საგარეო კურსთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს ბრალდებების გადასაფარ პოლიტიკურ ტრიუკს უწოდებს.**

**„ეს იყო პოლიტიკური ტრიუკი, რათა გადაფარულიყო თუნდაც დაუსაბუთებელი, მაგრამ ჯერჯერობით არსებული და გაუქარწყლებელი ბრალდებები კორუფციასთან დაკავშირებით. დღეს ყველანი ხედავთ, რომ აღარავინ საუბრობს, თუ რით დაიწყო და რატომ დაიწყო ეს პრობლემა, არავინ ლაპარაობს კორუფციაზე, არამედ ყველა საუბრობს იმაზე, რომ თურმე ერთ ადამიანსა და ერთ პოლიტიკურ გუნდზე ყოფილა დამოკიდებული საქართველოს ორიენტაცია და საგარეო კურსი. თუ ეს ასეა, ეს ნიშნავს, რომ იგივე ალასანიასა და მისი გუნდის საქმიანობა ამ 2 წლის განმავლობაში აბსოლუტურად უმაქნისი ყოფილა. თუ რამდენიმე მინისტრმა და 10-მა კაცმა უმრავლესობის კოალიციასთან ერთად ვერ მოახერხა ის, რომ რაღაცნაირად ინსტიტუციონალურად გამყარებულიყო კურსი, რომელსაც ისინი საქართველოს მოსახლეობას ასე ჰპირდებოდნენ, ნიშნავს იმას, რომ მათი მუშაობა არაეფექტური იყო", — განაცხადა ბურჯანაძემ.**

**ნინო ბურჯანაძის კომენტარს პარტიის პრესსამსახური ავრცელებს.**

**◎ თვალსაზრისი**

# ქვეყნის ღალატი

**ირაკლი ალასანია — პოლიტიკური სიბეცით გაჯერებული ამბიციურობა. დანაშაულზე პასუხის გაუცემლობა და მისი დაკავშირება საგარეო პოლიტიკის კურსთან, სხვა არაფერია თუ არა ქვეყნის ღალატი.**

**ლონდა მდივანი**

**◎ წკეპლიკები**

# კვლავაც, გააჩნია, რა შემთხვევაში?!

**ალბათ, გეხსომებათ, კინოფილმ „ღიმილის ბიჭების" ერთ-ერთი პერსონაჟი როგორ ეკითხება თავის უტიფრად თავდაჯერებულ ამხანაგს, — ერთ ორთქლმავალს მეტი ძალა აქვს თუ ორსო.**

**პასუხიც გეხსომებათ — გააჩნია, რა შემთხვევაშიო!**

**და სანამ ამ უკანასკნელს არ დაემუქრნენ და არ შეაშინეს, ვერაფრით ვერ ათქმევინეს, ორსო (თუმცა, როგორც კი სახურავიდან ჩამოსულმა თავი უსაფრთხოდ იგრძნო, ქუჩიდან კვლავ „პირველ ჩვენებას მიაწვა" — გააჩნია, რა შემთხვევაშიო, — გამაღიზიანებლად ასძახა ოპონენტებს. კი გამოენთნენ გამწარებულნი, მაგრამ...).**

და ახლა მთავარი სათქმელი — ყველას უთუოდ გეხსომებათ, ამ რამდენიმე წლის წინათ მიხეილ სააკაშვილის „რეფორმირებულმა" ჯიბის სასამართლომ ციხის რამდენიმეწლიანი „საგზური" როგორ გამოუწერა ირაკლი ბათიაშვილს „აჯანყებული" ემზარ კვიციანის... **„მორალური მხარდაჭერისთვის"** — ტელეფონით დაუკავშირდა აბუნტებულთა თავკაცსო(?!).

— ვეჟო, გაგონილა? — უთუოდ გაიკვირვებდა ნეტარხსენებული ლუარსაბი.

გაიკვირვებდა და, მართალიც იქნებოდა: **მორალური მხარდაჭერა თუ სისხლის სამართლებრივი დანაშაულია, მაშინ ხელისუფლების ძალადობრივი დამხობისკენ ლამის პირდაპირი მოწოდება, რაც ამ ბოლო ხანს თუნდაც ტელევიზიით ხშირად გვესმის ყოფილი პრეზიდენტისა თუ მისი უახლოესი პარტიული გარემოცვის წევრთაგან, რაღაა?**

სანამ მართლა არ დაგამხობენ, საქმეს არ უნდა მიხედოთ, ბატონებო?!

**ხომ არის მათი ამგვარი მინიშნება-მოწოდებანი აშკარა სისხლის სამართლის დანაშაული, რასაც ჯეროვანი და, რაც მთავარია, დროული რეაგირება-სასჯელიც უნდა მოჰყვეს?**



თუ კვლავაც, „ღიმილის ბიჭებისა" არ იყოს, გააჩნია, რა შემთხვევაში?!

გააქტიურდით, ბატონებო, თორემ თუ ქუჩაში გაგასწრეს, მერე!..

**არ თქვათ ახლა, დამსახურებულ სასჯელს მაინც ვერსად დაემალებიანო!**

**მასე კეზერაშვილებიც გყავთ „მისჯილები", ქარდავებიც, დათა ახალაიებიც და სხვებიც, მაგრამ...**

# რა „ფორმა ეცვა" მინისტრის პროტესტს?

**ამთავითვე ვიტყვი, რომ ირაკლი ალასანიასადმი, ამ ნიჭიერი და განათლებული ადამიანისადმი, ამ ბოლო დრომდე არ მქონია არამცთუ გამოკვეთილად მტრული, არამედ თუნდაც მეტ-ნაკლებად ანტაგონისტური დამოკიდებულება.**

**ამთავითვე უნდა ვთქვა ისიც, რომ ვერანაირად ვერ მოვიწონებ მის საქციელ-პოზიციას, ისევე როგორც მისი ცოლის დისასაც.**

**ცხადია, მათს პოლიტიკურ პოზიცია-გადაწყვეტილებას ვგულისხმობ და არა ადამიანურს, პირადულს თუ ნათესაურს.**

ამას თუნდაც მხოლოდ ერთი, ჩემი აზრით, მთავარი რამის გამო ვამბობ: „რუსთავი-2"-ის თოქშოუ „არჩევნის" (4.XI.) წამყვანმა გიორგი გაბუნიამ, როგორც მახსოვს, თავის რესპონდენტ ირაკლი ალასანიას ჰკითხა (ასპროცენტიან სიზუსტეზე თავს ვერ დავდებ **— რ. რ.), — თუ გქონდათ ეჭვი, რომ ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური კურსი იცვლებოდა, მაგრამ გარკვეული მიზნების გამო დუმდით, ხომ არ გახდით თქვენი დუმილის მსხვერპლი, აქამდე რად არ გამოთქვით პროტესტიო?**

**— პროტესტს თავისი ფორმები აქვსო,** — უპასუხა უკვე მინისტრყოფილმა — კოალიციაში, „შიდა სამზარეულოში", ვამბობდი ჩემს სათქმელსო...

მაშინვე ვერ და არ დავუჯერე ამის მთქმელს: **ამხელა აურზაურის ამტეხს და ამგვარი რადიკალური ნაბიჯის გადამდგმელს** (კვლავ გავიმეორებ, არსებული რეალობის გათვალისწინებით, პირადად ჩემთვის ყოვლად მიუღებელ-გაუმართლებელს!) **ეს რომ გაკეთებული ჰქონოდა, ანუ უმაღლესი საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან პირად საუბრებსა თუ ჩვენი ქვეყნისთვის ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის „შიდა სამზარეულოში" განხილვისას თავისი პოზიცია გამოეხატა და სათქმელიც — არა მგონია, ახლა, უკვე ოპოზიციურად განწყობილს და ამჟამინდელი ხელისუფლების კურსის წინააღმდეგ ამხედრებულს, გამოკვეთილად, სახალხოდ არ ეთქვა ეს და ამით ხალხისთვის ნათლად არ დაემტკიცებინა: პირადი ბოღმა თუ ჩემი შესაძლო პასუხისმგებლობის თავიდან აცილების სურვილი ან ინსტინქტი კი არ მამოძრავებდა, არამედ მხოლოდ ჩემი სამშობლოს ბედი და მისი „უკრაინიზაციის" პროცესებისგან დაცვაო.**



დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ხალხიც კარგად გაუგებდა და დაუფასებდა ამას.

ქალბატონმა მაია ფანჯიკიძემაც საქართველოსთვის მოსალოდნელ საშიშროებაზე ისაუბრა და... პოსტიდან გადადგა.

აშკარად გამიკვირდა და გავვოცდი: **თქვე კარგო დედმამიშვილებო, თუ ნათლად ხედავდით ან თუნდაც ინტუიციით გრძნობდით, რომ იმ კურსს, რომლის განხორციელებასაც და, შესაბამისად, ქვეყნის მომავალსაც საფრთხე ემუქრებოდა, მანამდე რად არ მოიმოქმედეთ რაიმე, ან, რახან ასე არ მოიქეცით, ახლა სად გარბიხართ? თქვენ ხომ, თქვენივ სამსახურებრივი მდგომარეობით, არამცთუ ყველაზე ახლოს იდექით ქვეყნის მართვის საჭესთან, არამედ უშუალოდაც მონაწილეობდით ამ მართვაში?**

ასეთ ვითარებაში (თუ მართლაც არის „ასეთი" ვითარება) თქვენი საქციელი, ძალიან რბილადაც თუ ვიტყვით, გაუმართლებელია, დეზერტირობაა და ზურგში ლახვრის ჩაცემაც.

რისთვის ან ვისთვის, ამას არ დავაკონკრეტებ.

**კიდევ ვიმეორებ: თქვენს სკანდალურ გადადგომამდე კონკრეტულად გაკეთებული თუ არა, ნათქვამი მაინც გქონდათ რაიმე იმის საწინააღმდეგოდ, რის გამოც განუდექით ყოფილ თანამებრძოლებს, იქნებ ახლა მაინც გვითხრათ, რა „ფორმა ეცვა" თქვენს პროტესტს?**

**რუსლან რუსია**

## პრემიერს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელთა საქმეებზე ხელი არ მიუწვდება

„გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იცნობს თავდაცვის სამინისტროს მაღალ-ჩინოსნების დაკავებასთან დაკავშირებული საქმის მასალებს, სი-მართლეს არ შეესაბამება. პრემიერ-მინისტრისთვის ცნობილია პროკურატურის საჯარო განცხადებები, ასევე, ბუნებრივია მთავ-რობის მეთაური ამ საქმესთან დაკავშირებით ფლობს დამატებით ინფორმაციას, მაგრამ არა საქმის მასალებს. ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ გამოძიების მასალებზე ხელი არავის მიუწვდება, გარდა საქ-მეში მონაწილე პირებისა“, — აღნიშნულია პრემიერის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

## ერთი ავანტიურისტი, უჭკუო და ამბიციური მინისტრი ჩამოშორდა მთავრობას, ამით ცუდიც არაფერი მომხდარა

„ბიზნესიც შეშფოთებულია და აინტერესებს, რაიმე ხომ არ ხდე-ბა. რა თქმა უნდა, არაფერი ხდება და არც არაფერი მოხდება. ჩვენ ათი და ასი ალასანიას მსგავსი ავანტიურებისაც კი არ გვეშინია და, რა თქმა უნდა, ჩვენ ამ აბ-სურდულ წინააღმდეგობებს მარტივად გადავლახავთ, მაგრამ ის, რაც მან გააკეთა სააკაშვილის სტილში, ძალიან ბევრ კითხვას ბა-დებს. ძალიან სამწუხაროა, რომ მის მხარეს აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც, მე ვთვლი, რომ არიან ჩვენი მე-გობრები, ჩვენი თანა-მებრძოლები, მე მათ გულწ-რფელობაში ვარ დარწმუნე-ბული. სამწუხაროდ, ისინიც არიან მოტყუებული, დიდ შეცდომას ჩადიან, რადგან არჩევანი გააკეთეს პიროვნე-ბას და სახელმწიფოს შო-რის. ეს მათი არჩევანია და ისინიც გაიზიარებენ იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც დაკავ-შირებულია მათ მიერ ჩადენილ შეცდომასთან. მინდა, ჩვენს მოსახ-ლეობას ვუთხრა, რომ ვართ ძლიერი სახელმწიფო, ძლიერი ხელი-სუფლება და ჩვენი სიძლიერე გამოიხატება სწორედ ჩვენს დემოკ-რატიულობაში. ჩვენი ინსტიტუტები მუშაობენ გამართულად და ჩვენ არანაირი წინააღმდეგობა არ შეგვექმნება არც მთავრობაში და არც პარლამენტში —ჩვენ გვეყოლება მყარი უმრავლესობა პარ-ლამენტში და მთავრობა გააგრძელებს კიდევ უფრო ეფექტურად მუშაობას. მეორე მხრივ, ცუდიც არ არის, ის, რომ მალე მოხდა ასე-თი მოღალატე ადამიანების ჩამოშორება ჩვენი გუნდიდან, ეს უკე-თესია ჩვენი ქვეყნის და ჩვენი გუნდისთვის. მათ არ ეცოდებათ ჩვე-ნი ქვეყანა და ჩვენი ხალხი, რაც საწყენია. გუშინ რაც გააკეთეს ეს არის დამაზიანებელი ჩვენი ქვეყნისთვის. მოგვიწევს კიდევ ერთი ორი კვირა ინტენსიურად მუშაობა, რომ ყველა აბსურდული კითხ-ვა მოვხსნათ, მაგრამ ჩვენ ამას შევძლებთ. მინდა, მოსახლეობას მო-ვუწოდო, რომ დამშვიდდნენ, რეალურად არაფერი ხდება — ერთი ავანტიურისტი, უჭკუო და ამბიციური მინისტრი ჩამოშორდა მთავ-რობას, ამით ცუდიც არაფერი მომხდარა. მინდა, გავიხსენო, რომ ერთადერთი მინისტრი, რომელიც ღიად ლობირებდა და მფარვე-ლობდა ნაციონალებს იყო ირაკლი ალასანია, დაწყებული გიგი უგულავათი, ბოკერიათი. ასე რომ, ჩემში ყველა კითხვას აქვს პა-სუხი.




მისი შეფასებით, ალასანიას საქციელი არის ქართველი ხალხის მოტყუების მორიგი მცდელობა, რაც ქვეყნის ინტერესს აზიანებს.

„მას ეს არაერთხელ გაუკეთებია. ამას ძალიან კარგად დაინახავს მოსახლეობა - ბევრ სიურპრიზს ნახავს. ეს არის, რა თქმა უნდა, ჩვე-ნი ქვეყნის საწინააღმდეგოდ გადადგმული ნაბიჯები და მათი გან-ცხადებები არის აბსოლუტურად უპასუხისმგებლო და არაადეკ-ვატური, აბსურდული, ნაციონალური მოძრაობის სტილის სიცრუე, რაც არის დამაზიანებელი ჩვენი ქვეყნისთვის. ბოლო 2 დღის გან-მავლობაში მე მომიწია ასეთ აბსურდულ განცხადებებზე საჯარო განმარტების გაკეთება იმისთვის, რომ საბოლოოდ გაგვექარწყლე-ბინა შესაძლო კითხვები და ეჭვები, რაც მათ აბსურდულ განცხა-დებებს უკავშირდებოდა. თუნდაც ის, რომ მაია ფანჯიკიძეს ჰქონ-და დემონსტრაციულად მოადგილეების გაყოლების მცდელობა, ადასტურებს მათ უპასუხისმგებლობას და უპატივცემულობას ჩვე-ნი გუნდის წინაშე. ეს ადამიანები სამი წლის განმავლობაში იყვნენ ჩვენთან ერთად ყოველდღე და როგორ შეიძლება ეს ყველაფერი ერთი ხელის მოსმით დაივიწყონ და უარი უთხრან იმ გამარჯვე-ბას, რომელსაც მივაღწიეთ ბატონ ბიძინა ივანიშვილთან ერთად. ძალიან სამწუხაროა ჩემთვის“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

## ზოგიერთმა მინისტრმა თავისი თავი ქვეყნის ორიენტირთან გააიგივა

ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ ირაკლი ალასანიას მისამართით პრემიერის მიერ გუშინ გაკეთებულ განცხადებებზე კომენტირებისას განაცხადა.

თამარ სანიკიძის განმარტებით, ყველაზე არასწორ ნაბიჯად“ „ზოგიერთი მინისტრის“ მიერ ქვეყნის ევროატლანტიკურ კურს-თან თავის გაიგივება მიაჩნია.

„ბევრი აზრი გამოითქვა და ყველა თავის ნათქვამზეა ანგარიშვალდებუ-ლი და პასუხისმგებელი. მე რაც და-ვინახე იყო ზედმეტი ამბიციურობა, რომელიც გამოვლინდა, რითაც ზო-გიერთმა მინისტრმა თავისი თავი გა-აიგივა ქვეყნის ორიენტირთან. აი, ეს მიმაჩნია მე ყველაზე არასწორ ნაბი-ჯად“, — განაცხადა სანიკიძემ.

„ყველაზე კარგი და სწორი მიდგო-მა იქნება, დავიცადოთ მოვლენები როგორ განვითარდება. წინასწარი მოსაზრებები ბევრჯერ მცდარია ხოლმე, ბევრჯერ კი რეალობას ემთხ-ვევა. ალბათ პრემიერს ჰქონდა მიზე-ზი, რის გამოც ეს თქვა. შეიძლება ეს ნაწილობრივ მართალი იყოს, თუმცა მე მიმაჩნია, რომ მომავალში გახდება ბევრი რამ ნათელი“, — აღნიშნა განათლების მინისტრმა.

## საგარეო საქმეთა მინისტრის ყველა მოადგილე, დავით ზალკალიანის გარდა, თანამდებობაზე რჩება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის თქმით, არსებული ვითა-რების გათვალისწინებით, მათ სახელმწიფოებრივი პოზიცია და-იკავეს.

— თუნდაც ის, რომ ქალბატონ მაია ფანჯიკიძეს ჰქონდა მცდე-ლობა დემონსტრაციულად თან გაეყოლა მისი მოადგილეები, კი-დევ ერთხელ ადასტურებს მათ უპასუხისმგებლობას და უპატივ-ცემულობას ჩვენდამი, ჩვენი გუნდისადმი. მე გუშინ შევიტყვე და დღეს დამიდასტურეს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგი-ლეები, გარდა დავით ზალკალიანისა, რჩებიან ადგილებზე. მათ და-იკავეს სახელმწიფოებრივი პოზიცია. ეს ძალიან მნიშვნელოვანია“, — განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, საქართველო უცხოეთიდან სტუმრებს ელოდება და ჩვენი ქვეყნის სირცხვილი იქნებოდა, რომ მათ საგარეო უწყებაში არავინ დახვედროდა.

დღესაც გვყავს უცხოეთიდან სტუმარი, ხვალაც ველოდებით ორი უცხო ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს და სამარცხვინო იქნე-ბოდა, რომ არავინ დახვედროდა მათ საგარეო საქმეთა სამინისტ-როში. ეს იქნებოდა მორიგი სირცხვილი და ჩვენი ქვეყნის ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება“, — განმარტა ღარიბაშვილმა.

## ირაკლი ღარიბაშვილი მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტს ლორა თაკს შეხვდა. შეხვედრის ძირითადი თემები საქართვე-ლოს მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობა, ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარე-მო და მიმდინარე ეკონომიკური რეფორ-მები იყო.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტს მად-ლობა გადაუხადა საქართველოში გზების, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობისა და ენერგეტიკის სფეროში განხორციელებული პროექტე-ბისთვის და აღნიშნა, რომ მთავრობა ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბიუჯეტის მხარდაჭერის პროგრამას.

პრემიერმა ვიცე-პრეზიდენტს მიაწოდა ინფორმაცია, რომ 2015 წელს თბილისში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითა-რების ბანკის ყოველწლიური შეხვედრა გა-იმართება.

## გაიმართა ღარიბაშვილისა და იანოშ ჰერმანის შეხვედრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან იანოშ ჰერმანთან გაც-ნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა.

მხარეებმა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების პრიორიტეტულ სა-კითხებზე ისაუბრეს და თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები დასახეს.

იანოშ ჰერმანი საქართველოში ევრო-კავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვა-ნელის პოზიციას 2014 წლის ოქტომბრიდან იკავებს. უნგრელმა დიპლომატმა კარიერა გასული წლის 70-იან წლებში დაიწყო. 1976 წელს იგი პერუში უნგრეთის საელჩოში ატაშედ დაინიშნა. სხვადასხვა თანამდებო-ბებზე საქმიანობდა უნგრეთის საელჩოებ-ში მექსიკასა და საბერძნეთში. 2001 წელს კი ნატოში უნგრეთის მუდმივი წარმომად-გენელი გახდა. 2005-2009 წლებში იყო ევ-როკომისიის საგარეო საქმეთა დოქტორა-ტის მთავარი მრჩეველი რეგიონული თა-ნამშრომლობის სფეროში. 2009-2013 წლებში ნორვეგიასა და ისლანდიაში ევ-როკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი გახდა. 2014 წლის და-საწყისში კი მას ცენტრალურ აზიაში ევ-როკავშირის სპეციალური წარმომადგენ-ლის თანამდებობა ეკავა.



### მსახიობის ოინები

## სააკაშვილმა ხელი აშშ-სკენ გაიშვირა

ორიოდე წლის წინათ პრეზიდენტ სა-აკაშვილის გარე დაცვის თანამშრომელ-მა (ვინაობა შეგნებულად არ სახელდება) პირად საუბარში თქვა, რომ „შეფმა“ საი-დუმლოს შენახვა არ იცის, ენაზე მომდ-გარს გარეთ ისვრის, ამიტომაც მისთვის რაიმე სხვებისაგან დაფარულის მიწოდე-ბას ყველა ერიდეთო.

რამდენიმე დღის წინათ, ცნობილმა რუსმა მსახიობმა, ვლადიმერ კრასნოვ-მა მორიგი „მსხვერპლის“ გაშარჟება მოინდომა. მან ტელეფონით დაურე-კა ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშ-ვილს და უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის არსენ ავაკოვის სახელით ფული სთხოვა უკრაინისთვის რუსეთ-თან ბრძოლაში. სხვათა შორის, ამგ-ვარი მსგავსი საუბარი მას ბელორუ-სიის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკა-შენკოსთან ჰქონდა, ხოლო კიევის მერს ვიტალი კლიჩკოს უკრაინის შს მინისტრის მრჩეველის სახელით ელა-პარაკა და მოსთხოვა რადას დეპუ-ტატ ოლეგ ლიაშკოვიჩისათვის ცხელი წყალი გამოერთო. ყოფილი მოკრივე მსახიობის ანკესს წამოეგო და მოთხოვნა სისრულეში მოიყვანა, ორი-ვე თანამდებობის პირთან სატელეფო-ნო ჩანაწერები მსახიობმა თავის ვებ-გვერდზე გაავრცელა.

რაც შეეხება ჩვენს პრეზიდენტყო-ფილთან კონტაქტს, კრასნოვი აცხა-დებს, რომ სააკაშვილთან გულახდი-ლი, თბილი საუბარი ჰქონდა. დააჯე-რა მის უკრაინის შს მინისტრობაში და როდესაც მატერიალურ დახმა-რებაზე მიდგა საქმე, ურჩია ამის შე-სახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტა-მენტისთვის მიემართა, რაშიც სააკაშ-ვილმა შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებაც შესთავაზა. რუსი მსახი-ობი პირობას დებს, რომ საუბრის სრულ ჩანაწერს ნოემბრის პირველ რიცხვებში გამოაქვეყნებს.

## შეფასებები

ზოგიერთი პოლიტოლოგი კრასნო-ვის სააკაშვილთან „საუბრებს“ მოსკოვი-დან დაკვეთილს უწოდებს, კრემლს მია-წერენ თემატიკასაც — უკრაინა, ფული, დახმარების მიღების გზები. თუ ვინმე სე-რიოზულად მიიღებს საქართველოს ექს-პრეზიდენტის შეთავაზებულ დახმარე-ბებს, ამას შეუძლია, კიდევ უფრო დაძაბოს სიტუცია უკრაინის გარშემო, დაძაბოს შტატებისა და რუსეთის ურთი-ერთობები.

ფსიქოლოგები, საქართველოს ყო-ფილი პირველი პირის დახმარების შე-თავაზებას, მორალურად და ფსიქო-ლოგიურად გატეხილი ადამიანის ქცე-ვად აღიქვამენ. ერთ დროს ყურადღე-ბის ზენიტში მყოფს არავინ არაფერს ეკითხება, სამშობლოში ბევრი მიზე-ზის გამო (არა მხოლოდ აღძრული სი-სიხლის სამართლის საქმეებისა) დაბ-რუნება ეშინია. მისი აქტიურობა მსოფლიო პოლიტიკური ელიტისთვის შეუმჩნეველი დარჩა. ახლა, რჩევისთ-ვის მიმართვის შემდეგ, ამ პიროვნე-ბაში წამიერად გაიღვიძა განდიდები-სა და პატივმოყვარეობის გრძნობამ. მანაც დამრეკს რჩევები მისცა და პი-რადი დახმარებაც შესთავაზა.

ექსპერტები, სპეციალისტები, ანა-ლიტიკოსები არ გამორიცხავენ ,რომ რფ-ს სპეცსამსახურებს, რომელთაც საფუძვლიანად აქვთ შესწავლილი ბევრი პოლიტიკოსის (მათ შორის სა-აკაშვილის) პიროვნული სისუსტეები, შეგნებულად ჰყავთ მიგზავნილი მსა-ხიობი მასთან ზოგიერთი დეტალის გარკვევისა და დაზუსტების მიზნით.

**ზაზა ბილიხოძე**

**მმართველი კოალიცია „თავისუფალმა დემოკრატებმა“ დატოვეს. შესაბამისად, გადამწყვეტი ათი მანდატის გარეშე დარჩენილი საპარლამენტო უმრავლესობა აღარ არსებობს. ასეთ პირობებში თუ უმრავლესობის გარეშე დარჩენილი პარლამენტი ველარ შეძლებს ბიუჯეტის დამტკიცებას, ამას ბიუჯეტის ჩავარდნა მოჰყვება, რაც აისახება მთავრობის ყოფნა-არყოფნაზეც. საბოლოოდ კი, ეს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებამდე ხომ არ მიგვიყვანს?**

**For.ge-ს იურისტი ლევან ალაფიშვილი ესაუბრება.**



# მთავარია, სახელისუფლებო კრიზისი სახელმწიფოებრივში არ გადაიზარდოს

**— მმართველი გუნდის წევრები ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე საუბარს ნაადრევს უწოდებენ. სინამდვილეში, პარლამენტში არსებული კონფიგურაცია სულ სხვა სურათს იძლევა. ვადამდელი არჩევნები მოსალოდნელია?**

— „თავისუფალი დემოკრატების“ განცხადების კვალობაზე, რაც ფასეულობით შეუთავსებლობას და დევნას შეეხება, ძნელი სავარაუდო იქნებოდა, „თავისუფალი დემოკრატები“ ისევ უმრავლესობაში დარჩენილიყვნენ. კოალიციიდან გასვლის შემდეგ „თავისუფალი დემოკრატები“ გააგრძელებენ დამოუკიდებელ ახალ პოლიტიკურ საქმიანობას და ამის შესახებ მათმა ლიდერმა განაცხადა კიდეც.

მას შემდეგ, რაც „თავისუფალმა დემოკრატებმა“ უმრავლესობის დატოვების შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს, ამას რამდენიმე მიმართულებით ექნება გავლენა. პირველი — პარლამენტის მიმართულებით. კერძოდ, ჩვენი პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, თუკი იშლება უმრავლესობა, რომელსაც, მინიმუმ, 75 წევრი უნდა ჰყავდეს, ეს ავტომატურად ახდენს გავლენას და პარლამენტში აღარ იარსებებს უმცირესობაც, ანუ ჩვენს პარლამენტში მსხვილი პოლიტიკური დაჯგუფებები აღარ იქნება, უბრალოდ, წარმოდგენილი იქნება ბევრი ფრაქცია და ე.წ. ფრაგმენტირებული პარლამენტი გვეყოლება. თავისთავად, ეს გაგრძელებას ჰპოვებს საპარლამენტო ორგანიზაციაში, რაც პოლიტიკასთან არის დაკავშირებული. მხედველობაში მაქვს თავმჯდომარეების, მოადგილეების საკითხების ხელახლა განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება, კომიტეტებში თუ დელეგაციებში ფრაქციების კვოტირება და ა.შ. ეს საკითხები არანაკლებ მნიშვნელოვანია და არცთუ უმტკივნეულოდ ჩაივლის. მაგალითად, კვოტირებასთან დაკავშირებით რეგლამენტში წერია, რომ კომიტეტებში საპარლამენტო უმრავლესობას აქვს 10 კვოტა, უმცირესობას — რვა. თუკი აღარ იარსებებს უმრავლესობა და უმცირესობა, განაწილების ეს წესიც აღარ იმოქმედებს.

რაც შეეხება პარლამენტს გარეთ არსებულ სიტუაციას, ამ შემთხვევაში, ძირითადი უარყოფითი გავლენა მთავრობასთან მიმართებით იქნება. მოგეხსენებათ, პარლამენტის გაზრდილი როლის კვალობაზე, მნიშვნელოვანია პარლამენტის მხარდაჭერა მთავრობისადმი, რომელიც ამიერიდან იმ ხარისხის ველარ იქნება. ძალზე რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება მთავრობა, თუკი აღარ ექნება მხარდაჭერა. როგორ მიიღებენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, რომელიც საკანონმდებლო რეგულაციას მოითხოვს? პარლამენტი მთავრობის ინიციატივას აღარ მიიღებს კანონის თუ ორგანული კანონის სახით და ეს ყველაფერი სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, თუნდაც კვორუმის მოგროვებისას. გავიხსენოთ იმავე ვეტოს დაძლევის საკითხი, რომელიც ბოლო პერიოდში პოპულარული გახდა.

**— ბიუჯეტის დამტკიცებას სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა სჭირდება. თუ ბიუჯეტი ჩავარდება, რა მოხდება?**

— თუ პარლამენტი მთავრობასთან ერთად ვერ ახერხებს კონსენსუსის მოძებნას და წლის ბოლომდე ვერ დაამტკიცებს მომდევნო წლის ბიუჯეტს, აქ უკვე პროცესში ერთვება პრეზიდენტი და წარმოჩნდება ჩვენი კონსტიტუციური მოდელის და პრეზიდენტის განსაკუთრებულობა თუ მნიშვნელობა. პრეზიდენტს აქვს ორი გადაწყვეტილების მიღების უფლება, ორი არჩევანი — ან პარლამენტის, ან მთავრობის სასარგებლოდ — ან ერთს უშვებს სახლში, ან — მეორეს. თუკი მთავრობას გაუშვებს სახლში, ამ შემთხვევაში, იწყება მთავრობის შერჩევის ხელახალი პროცედურა. უფრო სწორად, პრემიერის შერჩევის პროცედურა. შემდეგ უკვე მთავრობის ფორმირებისა და დამტკიცების პროცედურა დაიწყება, რომელიც პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის ურთიერთობაში წარიმართება.

**— თუ პარლამენტის დათხოვნის გადაწყვეტილებას მიიღებს პრეზიდენტი, ამ შემთხვევაში, უკვე რიგგარეშე არჩევნები ინიშნება?**

— დიახ და რიგგარეშე არჩევნებს ხელახლა მოჰყვება როგორც საპარლამენტო თანამდებობების გადანაწილება, ასევე მთავრობის ახალი გუნდის ფორმირება. ორივე შემთხვევაში, არსებული მთავრობის შემადგენლობა ინარჩუნებს პოსტს და ლეგიტიმაციის ძალიან მცირე დოზის მქონე ეს ორგანო აგრძელებს ქვეყნის მართვას, ყოველგვარი პოლიტიკური მხარდაჭერის გარეშე, რაც საკმაოდ სახიფათოა. მნიშვნელოვანია, რომ ეს კონსტიტუციური ცვლილება ამ პარლამენტმა მიიღო გასული წლის გაზაფხულზე, ეს ბოლო ცვლილებაა და, შესაბამისად, კიდევ ერთი დასტურია ჩვენი კონსტიტუციური სისტემის წინააღმდეგობრიობისა იმ თვალსაზრისით, რომ იგი ჩიხში შესვლის უამრავ საშუალებას იძლევა, მაგრამ იქიდან გამოსვლის საშუალება, პრაქტიკულად, ძნელად მოიძებნება.

წარმოიდგინეთ, თუკი პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის ვერ მოიძებნა კონსენსუსი, მაგრამ კონსენსუსი იმაში არის, რომ არსებულ მთავრობას უშვებენ სახლში, მიუხედავად იმისა, რომ ამაში ერთიანნი არიან, თუკი რაღაც გარემოებათა გამო მაინც ვერ შეთანხმდნენ ახალ პრემიერზე და ახალ მთავრობაზე, არსებული მთავრობა, რომელსაც არც ერთი არ ენდობა, მაინც აგრძელებს ფუნქციონირებას. ამ დროს საბიუჯეტო პროცესი და ხარჯვა მიმდინარეობს 1/12-დის პრინციპით, რაც კატასტროფაა. ეს არ არის გაწერილი რეგულაცია, თუ რომელი ასიგნება რა ოდენობით უნდა დაიხარჯოს. ეს არის ინერციით მართვა, რაც ნიშნავს, რომ გასული წლის მონაცემს იღებენ და ისე ხარჯავენ, ანუ ბიუჯეტი განვითარებადი არ არის. აღარაფერს ვამბობ ეკონომიკურ გავლენაზე, თუ რა სიტუაცია შეიძლება მოჰყვეს.

**— „თავისუფალი დემოკრატების“ დემარში ძალზე უარყოფითად აისახება არა მარტო მთავრობაზე, პარლამენტზეც. თქვენ საუბრობდით სავარაუდო ვერსიებზე, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ პიროვნულად იცნობთ პრეზიდენტს, საითკენ უფრო მიდის რეალური სცენარი და ბიუჯეტის ჩავარდნის შემთხვევაში, პრეზიდენტი ვის უფრო დაინდობს — პარლამენტს თუ მთავრობას?**

— „თავისუფალი დემოკრატების“ ნაბიჯი უარყოფითად აისახება ქვეყანაზე. რაც შეეხება სავარაუდო სცენარს, ეს დამოკიდებული იქნება იმ კენჭისყრის შედეგებზე, რომელიც ბიუჯეტთან დაკავშირებით დაფიქსირდება პარლამენტში. შესაძლებელია, პარლამენტში ისეთი კონფიგურაცია დაფიქსირდეს, რომელიც ამ ყველაფერს მხოლოდ თეორიის დონეზე დატოვებს, ან კიდევ, პარლამენტმა მიიღოს გადაწყვეტილება მთავრობის გაშვების შესახებ. სიტუაცია საკმაოდ რთულია. სამი ალბათობა არსებობს — ან არაფერი იცვლება, ანუ პარლამენტი მხარს უჭერს მთავრობის მიერ შემუშავებულ ბიუჯეტს და ქვეყანა ცხოვრებას აგრძელებს, მეორე ვარიანტი — პარლამენტი მხარს არ უჭერს და პრეზიდენტი იღებს პარლამენტის დათხოვნის გადაწყვეტილებას და მესამე ვარიანტი, პარლამენტი ბიუჯეტს მხარს არ დაუჭერს და პრეზიდენტი იღებს მთავრობის გაშვების გადაწყვეტილებას. ამ სამი ვარიანტის ალბათობა ბევრ კონკრეტულ გარემოებაზე იქნება დამოკიდებული.

**— ირაკლი ღარიბაშვილის ლეგიტიმაციას რაც შეეხება. ამ ეტაპზე მხოლოდ სამმა მინისტრმა დატოვა პოსტი. რა მოხდება, თუკი ხუთი მინისტრი დატოვებს პოსტს, რაზეც ბოლო დროს აქტიურად მსჯელობენ?**

— სამმა კონსტიტუციურად თუ დატოვა პოსტი, მაგრამ არანაკლებ ხუთი მინისტრისა თუ დატოვებს და მესამედით განახლდება მინისტრთა კაბინეტი, მაშინ სავალდებულო წესით, მთავრობას სჭირდება ხელახალი მხარდაჭერა. აქ მნიშვნელოვანია არა ეს პროცესი, არამედ სხვა პროცესი. დავუშვათ, უმრავლესობა დაიშალა და მთავრობაც კოალიციური აღარ არის, მოხდა ჩანაცვლება და ოთხი მინისტრი შეიცვალა, მთავრობა აგრძელებს მუშაობას, მაგრამ პარლამენტი არ უჭერს მხარს ბიუჯეტს, როგორ უნდა მართოს მთავრობამ ქვეყანა? ცხადია, ველარ გააგრძელებს. ეს პოლიტიკური კრიზისის უპირობო საფუძველია.

**— უმრავლესობის ერთ-ერთი წარმომადგენელი ამბობს, რომ მინისტრები გადაუყენებიათ, მაგრამ ეს არ უნდა ნიშნავდეს გემის ჩაძირვას. თუმცა, საფრთხის ნიშნები ქვეყანაში აშკარაა. კულუარებში იმაზეც საუბრობენ, რომ პრემიერის პოსტზე შესაძლოა, რომელიმე კანდიდატურა წარადგინოს პრეზიდენტმა. საპარლამენტო უმრავლესობას უნდა წარმოადგენდეს პრემიერი. გვაქვს იმის ფუფუნება ქვეყანაში, ვინ შეიძლება მოაზრებოდეს პრემიერად?**

— ვერ გეტყვით, ეჭვი მეპარება, რომ პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკოსები ამაზე ჩამოყალიბებულნი იყვნენ, რადგან თვითონაც არ იციან, უმრავლესობა ეყოლებათ თუ არა. თუ ვის აქვს ეს პრივილეგია, კონსტიტუცია ამბობს, რომ ამ პრივილეგიით სარგებლობს არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე პოლიტიკური ძალა. საარჩევნო სუბიექტი იყო კოალიცია, დღეს კი კოალიცია ძველი სახით პარლამენტში აღარ იქნება. ეს საკითხიც კამათის და დაპირისპირების საგანი შეიძლება გახდეს.

**— რამდენად ჯდება ეს ყველაფერი ნაცმოძრაობის ინტერესებში? ბოლო დროს ცოტა ხნით მიყუჩებული სააკაშვილიც გააქტიურდა. იგი ისევ გადაწვდა ივანიშვილს. ამასთან, რამდენად აპოკალიფსური სურათი შეიქმნება, თუ „თავისუფალ დემოკრატებს“ მიემატებიან რესპუბლიკელებიც?**

— რესპუბლიკელებმა ბოლო დროს არაერთხელ საჯაროდ თქვეს, რომ მათი მთავარი პარტნიორები არიან „თავისუფალი დემოკრატები“. ამავე დროს, გამოხატეს მადლიერება ბიძინა ივანიშვილის მიმართ, მაგრამ ეს მადლიერება იყო დათქმული, ვიქნებით თუ არა უმცირესობაში თუ უმრავლესობაში, ეს უპირობოაო. ასე რომ, ცალსახა დასკვნის გაკეთება ამ ეტაპზე გამიჭირდება. ალასანიას გუნდთან ერთად, რესპუბლიკელების გასვლაც საკმაოდ რთულ სიტუაციას შექმნის. რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, პოლიტიკურ არენაზე მისი შენარჩუნებისთვის ყველაზე კარგი „დამხმარე“ იყო და არის კიდეც მმართველი კოალიცია და მის მიერ დაშვებული შეცდომები. პოლიტიკურ სუბიექტს მისი მოწინააღმდეგის ნებისმიერი დასუსტება აძლიერებს. ამ შეფასებისთვის საუკეთესო დრო და საშუალება არჩევნებია, ვნახოთ, არჩევნებამდე რა და როგორ წარმოჩინდება. არ ვფიქრობ, რომ უახლოეს პერიოდში მნიშვნელოვან პროგრესს მიიღებს ნაცმოძრაობა. ამავე დროს, სავარაუდოა, რომ ნაცმოძრაობის შიგნითაც რაღაც პროცესები მიდის. მართალია, საჯაროდ არ გამოსულა ეს ყველაფერი, მაგრამ ბოლო პერიოდის საკადრო გადაწყვეტილებები ამის შემცველია. ამიტომ საგარეო საფრთხეების შემცველი შეიძლება იყოს ქვეყანაში ასეთი არასტაბილურობა. უზრჭყალებოდ ვიტყვი, გონივრული გადაწყვეტილების მიღებით ქვეყნის გადარჩენა აუცილებელია, რაც არის პრეზიდენტის, სახელმწიფოს მეთაურის, უმაღლესი მთავარსარდლის ხელში და აქ იქნება მნიშვნელოვანი მისი პოზიცია. ჯერჯერობით, მარგველაშვილისგან რაც მოვისმინეთ, ეს სახელმწიფოებრივი პოზიცია იყო.

**— „კულუარებიდან ქვეყნის მართვა უნდა დამთავრდესო“, — ამას გულისხმობთ?**

— არა იმდენად ამას, რამდენადაც პრეზიდენტმა ფაქტობრივად თქვა, რომ ინსტიტუციური დემოკრატია უნდა შეიქმნას ჩვენთან, სადაც პრეზიდენტიც, პარლამენტიც და მთავრობაც შებოჭილი იქნება კონსტიტუციით და არავის მოუვა აზრად იმაზე მეტის მითვისება, ვიდრე კონსტიტუციამ განუსაზღვრა. პოლიტიკური კრიზისი აშკარაა. პარლამენტის თავმჯდომარემ საჯაროდ თქვა კიდეც, რომ არის კრიზისი, პრეზიდენტმაც დაადასტურა, რომ კრიზისია და ამის უარყოფას აზრი აღარ აქვს. სხვა საკითხია, სახელმწიფოებრივ კრიზისში აღარ გადაიზარდოს. სახელისუფლო მწვავე კრიზისი თუკი დიდხანს გაგრძელდება, სახელმწიფოებრივ საფრთხედ შეიძლება იქცეს.

**მარიამ ლოლაშვილი**

## კაკალ გულში

**● ღარიბაშვილი „რუსთაველთან“ ალოდინეს და მხოლოდ მესამე (ფანჯიკიძის და ზალკალიანის შემდეგ) კაცად შევიდა. არადა, მთავრობის ყველა რგოლის რეკლამა რუსთაველზე გადის!**

**● როგორც „თავაწეულმა“ ცაგარეიშვილმა თქვა, იგი ივანიშვილს აზრის გამოთქმას არ უშლის.**

**აი კაციიი!..**

**● ზოგი გადადგა, ზოგიც დარჩა, მაგრამ ერთმაც და მეორემაც („წამსვლელ-დამრჩომმა“) ქართველ ხალხს თავისი დიდი ღვაწლი დაამადლა, კვლავ და კვლავ „ევროატლანტიკური არჩევანის“ საქმეში (პონტში).**

**● ირაკლი ულუმ ირაკლი ნარინი გადააყენა!**

**საქართველოს ისტორია. მე-9 კლასის სახელმძღვანელო. 2431 წელი.**

**● „მაია ფანჯიკიძემ და მისმა გუნდმა...“-ო.**

**ორი წლის წინათ ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ქალბატონი ფანჯიკიძე და მისი გუნდი, გენახათ ან გაგეგონათ სადმე?**

ჰოდა, საქმეც მაგაშია!

### წერტილოვანი თეზისები

**● ამ ორი დღის განმავლობაში უკვე იმდენჯერ გაიმეორეს, რომ სიტყვები — „ევროატლანტიკური კურსი (არჩევანი)“ რომ მესმის, მზად ვარ იარაღზე ვიტაცო ხელი?!**

**● „რუსთავი-2“-ს რას არ აბრალებდნენ და თურმე თავისუფალ-დემოკრატიული ტელევიზია კი ყოფილა?**

**● უმრავლესობას ჯოკერის თამაში რო მოუნდეს, ნაციონალები უნდა დაიმატონ?**

**● არ გადამდგარან, ფონოგრამა ყოფილა!**

**● დარჩა თავისი თანასოფლელების ამარა. ეჰ, არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი.**

**● რას ელოდებიან, ამას?**

**სპონტანურად გამოვცვივდით სახლებიდან. მე — აღშფოთებულ ჟორჟიკასთან ერთად. ყველა სადარბაზოდან გამორბიან ლამის ჭკუიდან გადამდგარი მოქალაქეები. „რა ხდება ხალხო, ეს რას გვიმზადებენ, რუსეთის მონები? ჩვენს წმიდათაწმიდა არჩევანს ეხებიან, ბინძური ხელებით!“, — კივის ჩემი მეზობელი ნაცმაცუნა კოორდინატორი. ყველანი ერთად მივდივართ კანცელარიისაკენ. ნაცებიც, ქოცებიც და თავისუფალი ადამიანებიც. გზად კარდონის იაშიკებს ვკრიფავთ და ზედ ვაწერთ: ხელები შორს ჩვენი არჩევანისგან! ნატო, ნატო (პა ხოდუ ზოგი, „მიშა, მიშას“ ჰკივის!). კაროჩე რა, ღმერთო გვესროლე მეტეორი! თქვენი ნატოც და ზევიდან ევროპის სახალხო პარტიაც!**

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძე**

◉ სიდუხჭირე

# ჩვენ, ოდესღაც წელგამართულად მცხოვრებნი...




**საქსტატის ოფიციალური მონაცემები იმის თაობაზე, რომ საქართველოში ღატაკია მხოლოდ მოსახლეობის 10 პროცენტი, ანუ 430 ათასი კაცი, სასაცილოც არ არის. ამაში უეჭველად დაგვეთანხმება ის, ვინც ყურმოკვრით მაინც იცის რა კრიტერიუმებით ადგენენ სოციალური მუშაკები სიღატაკის ზღვარს, თანაც ამას არა საკუთარი „არაადამიანური ბუნებით“, არამედ დადგენილი ნორმატივების შესაბამისად აკეთებენ.**

ეს „სტატისტიკური“ 430 ათასი ღატაკი კაცი იმ კატეგორიის მოსახლეობაა, რომლის ცხოვრების სოციალური დონე 57 ათას ქულაზე ნაკლებადაა შეფასებული, რის შედეგად სახელმწიფოსგან შემწეობას იღებს. სრულიად აუტანელი კი ისაა, რომ 58 ათასი ქულის დონეზე „შეძლებული“ ოჯახი უკვე ღარიბთა სიაში ხვდება და შემწეობას აღარ აძლევენ, თუმცა კი ისინი ღატაკებისგან არაფრით არ განსხვავდება.

არადა, რეალური სურათი, რომლითაც კაცმა გნებავთ დიდ ქალაქებში, გნებავთ მხარეებში თუნდაც თვალის ერთი გადავლებით შეაფასოს, ოფიციალურისგან ცა და მიწასავით განსხვავდება: სხვა თუ არაფერი, დამოუკიდებელი **საექსპერტო შეფასებებით, საქართველოს მოსახლეობის ნახევარი მაინც ღარიბია.** თანაც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ყოფის დონე წლების მანძილზე უმდაბლეს დონეზე სტაბილურადაა გაყინული, იცვლება მხოლოდ პარლამენტის დეპუტატთა კორპუსისა და მინისტრთა შემადგენლობა, რომელთა ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი საკუთარი ხელფასების გაზრდა, ან მათზე იმდენივე დანამატის მიღებაა **(ერთეულები ამ დანამატებს თუ არ იღებენ, ეს საერთო სურათს არა თუ უკეთესობისკენ არ ცვლის, პირიქით, დანარჩენების სიხარბესა და სულწასულობას უსვამს ხაზს. — ო. ტ.).**

არადა, უკვე დოგმად ქცეული სოციალური არათანასწორობა პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში ანალოგიურ მონაცემებს რომ შევადაროთ, ისეთი მკვეთრი განსხვავება ეკონომიკური თვალსაზრისით, რომელიც ყველაზე მაღალ და დაბალშემოსავლიან ფენებს შორის ჩვენშია, სხვაგან აღარსად აღარ არის.

იმის გათვალისწინებით, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახური წლების მანძილზე ყოველთვიურად სრულიად არარეალურ საარსებო მინიმუმს გვიწესებს, რის თაობაზე მრავალჯერ გვქონია ლაპარაკი გაზეთის ფურცლებზე და, როგორც ჩანს, კიდევ არაერთხელ მოგვიწევს ამ საკითხთან მიბრუნება, სიღატაკის პრობლემას შეიძლება ამ მონაცემებიდან გამომდინარე მივუდგეთ. ამჟამად ოფიციალური საარსებო მინიმუმი, ანუ ის თანხა, რომელიც ზრდასრული შრომისუნარიანი მამაკაცის სამუშაოს შესრულების, კვების, გადასახადების გადახდის, დასვენების, მგზავრობისა და სხვა ასეთი „წვრილმანებისთვის“ საკმარისია, დაახლოებით 148 ლარია. ამდენად, ღატაკად თუ ღარიბად ის კაცი ჩაითვლება, ვისაც 148 ლარზე ნაკლები ყოველთვიური შემოსავალი აქვს. მეორე, რეალისტური შეფასებით, სიღატაკის ზღვარი ამ 148-ლარიან ვირტუალურ დონეს სულ მცირე ხუთჯერ მაინც აღემატება. ექსპერტთა უმრავლესობა სავსებით იზიარებს იმ თეზისს, რომ **საქართველოში ღარიბად ოფიციალურად უნდა ჩაითვალოს და ის ოჯახი, რომლის წევრთა მთლიანი შემოსავალი 1000 ლარზე ნაკლებია. თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბეში ცხოვრობს.**

საქართველოში სიღარიბის დაძლევაზე, მეტ-ნაკლები სიხშირით და პათოსით დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ უკლებლივ ყველა ხელისუფლების სათავეში მყოფი პოლიტიკური ძალის ყველა მთავრობა ლაპარაკობდა, თუმცა კი მის დასაძლევად რეალური, ქმედითი ნაბიჯები არც ერთ მათგანს არ გადაუდგამს. მეტიც: ოფიციალური სტატისტიკა, არსებითად, ხეირიანად არც კი ცდილობს იმის გარკვევას, სინამდვილეში ქვეყნის მოსახლეობის რა ნაწილი ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს ქვევით. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ვფიქრობთ, ცხადზე ცხადია: მაშინ, როცა ოფიციალური სტატისტიკის ხელმძღვანელებმა თავადაც მშვენივრად იციან, რომ იმავე საარსებო მინიმუმის დღესდღეობით მიღებული სისტემა **(ახლის შემუშავებაზე მუშაობა წლების მანძილზე კი მიმდინარეობს, მაგრამ, როგორც ჩანს, ის რომ მომზადდება, მორალურად და არსებითადაც მოძველებული იქნება — ო. ტ.)** არქაულია და, ამდენად, სრულიად უვარგისი. მთელი უბედურება მაინც ისაა, რომ ნაცმოძრაობის ხელისუფლების დარად, სიღარიბის შემცირების პროგრამაზე არც ამჟამინდელი მთავრობა არ მუშაობს, ყოველ შემთხვევაში ამის თაობაზე საზოგადოებრიობისთვის არც ერთ ოფიციალურ პირს არ უცნობებია. გაუთავებელი მითქმა-მოთქმა ხელისუფლების სხვადასხვა შტოს ჩინოსნებისთვის ხელფასების გაზრდის თაობაზე კი, რამდენიც გნებავთ იმდენია.

ერთადერთი, რითაც შეგვიძლია თავი ვინუგეშოთ, ისაა, რომ ბოლო წლებში საქართველოში მოსახლეობის ძირითადი მასის სოცილურ-ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად აღარ უარესდება, ვისაც სახლში თუნდაც ძველისძველი შავ-თეთრი ტელევიზორი აქვს, იმას სოცმუშაკები „ცოტათი შეძლებულად“ აღარ თვლიან. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამაზე მეტი სიდუხჭირე იმ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში, რომლის მოსახლეობა საბჭოთა კავშირში ყველაზე უკეთ ცხოვრობდა, უკვე ლამის ჰუმანიტარული კატასტროფის ტოლფასი იქნება.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ სახელმწიფო ვალი

# ცხოვრება ნისიად

**საქართველოს საგარეო ვალი ამჟამად 4 მილიარდ დოლარს აჭარბებს. მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით, ქვეყნის საგარეო ვალის მომსახურებაზე 545 მილიონი ლარი უნდა გამოიყოს, მათ შორის 345 მილიონი ლარი ძირითადი თანხის ნაწილის დაფარვაზე მოხმარდება, დანარჩენი 200 მილიონი ლარი კი — ვალის პროცენტის გასტუმრებას.**

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით, მისი ვალდებულებები გაისად მილიარდ 320 მილიონი ლარით გაიზრდება. ამ თანხიდან, მთავრობა შიდა ბაზარზე ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით 400 მილიონი ლარის ვალის აღებას გეგმავს. რაც შეეხება დანარჩენ 920 მილიონ ლარს, ამ თანხას უცხო ქვეყნების მთავრობები და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები გაიღებენ: კერძოდ, **მსოფლიო ბანკი 155 მილიონ ლარს გამოგვიყოფს, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი — 85 მილიონ ლარს, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები და უცხო ქვეყნების მთავრობები კი, გრძელვადიანი საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტების სახით დანარჩენ 680 მილიონ ლარს მოგვაწვდიან.**

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ, წლევანდელთან შედარებით, გაისად გრძელვადიან საინვესტიციო საკრედიო ხაზების მთლიანი მოცულობა, წლევანდელ გეგმურთან შედარებით, 80 მილიონი ლარით გაიზრდება, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის მხარდასაჭერი თანხების მოცულობა, 215 მილიონი ლარიდან 85 მილიონ ლარამდე დაიკლებს. ამასთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ, დაგეგმილი თანხების ათვისების შემთხვევაში, სახელმწიფო საგარეო ვალის პარამეტრების მდგრადობა შენარჩუნდება. საგულისხმოა ისიც, რომ გაისად, წლევანდელ საგეგმო პარამეტრებთან შედარებით, სახელმწიფო ვალის მთლიანი მოცულობა 19,3 პროცენტით უნდა შემცირდეს. მთლიანად კი სახელმწიფო ვალი, 2015 წლის მიწურულისთვის, ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის 35,6 პროცენტს უნდა შეადგენდეს, მათ შორის საგარეო ვალი დაახლოებით 26,3, ხოლო შიდა — 9,3 პროცენტი იქნება.

წლეულს, საქართველოს მთავრობამ, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებებისა და ობლიგაციების განთავსების შედეგად, შიდა ბაზარზე 600 მილიონი ლარის ოდენობის სესხი აიღო. მათ შორის, 200 მილიონი ლარი ეკონომიკის გრძელ-




ვადიანი ფინანსური რესურსით უზრუნველსაყოფი მექანიზმისთვის იყო გამოყოფილი. ამის არსი ისაა, რომ ორ და ხუთწლიანი ვადიანობის სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს ემისიით, წინასწარ განსაზღვრული ოდენობით უშვებენ, და მათ, გარკვეული პროცენტის მოგებას პირობით, კომერციულ ბანკებს სთავაზობენ. აღსანიშნავია, რომ სახაზინო ფასიანი ქაღალდები საქართველოს თორმეტმა კომერციულმა ბანკმა შეიძინა, გარიგებათა მთლიანმა მოცულობამ 172,2 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო ფასიანი ქაღალდების აუთვისებელი ლიმიტი გაუქმდა. აქვე იმასაც ავღნიშნავთ, რომ ქვეყნის ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს ერთ, ორ, ხუთ და ათწლიან ობლიგაციათა ემისიას. ბოლო მონაცემებით, თორმეტთვიან სახაზინო ვალდებულებებზე საშუალო შეწონილი განაკვეთი იყო 6 პროცენტი, ორწლიანზე — 7,4 პროცენტი, ხუთწლიანზე — 9,5 პროცენტი, ათწლიანზე კი — 11,1 პროცენტი.

აღსანიშნავია, რომ საგარეო საკრედიტო რესურსების ძირითადი ნაწილი ორმხრივი და მრავალმხრივი დონორი თუ პარტნიორი ქვეყნებისთვის პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად არის მიღებული. საკითხთან, დაკავშირებით, ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, **სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელი შეღავათიანია და, უმეტესწილად, გრძელვადიანი სესხებითაა წარმოდგენილი. ამასთან, დავალიანებათა პორტფელის საკონსტრაქტო ვადიანობა 22 წელს, საშუალო დარჩენილი ვადიანობა დაახლოებით 10,7 წელს, ხოლო სახელმწიფო საგარეო ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 1,94 პროცენტს შეადგენს. ასევე ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ საგარეო ვალის პორგტფელს სამი მეოთხედი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტებისგან შედგება, რაც ქვეყნის სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურების პარამეტრების დაცულობას ე. წ. საპროცენტო განაკვეთების რყევებისგან დაცვას და ვალის მომსახურების ხარჯის დაბალ დონეზე შენარჩუნებას უწყობს ხელს.**

რაც შეეხება 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში საშინაო თუ საგარეო სესხების გასტუმრების საკითხს, გაისად საშინაო ვალდებულებათა შემცირების ინდიკატორი მაჩვენებელი, კანონპროექტის თანახმად, დაახლოებით 532 მილიონი ლარი იქნება. მათ შორის, სახაზინო ვალდებულებათა და ობლიგაციების ძირითადი თანხა დაიფარება 497 მილიონი ლარით, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკის ვალი — 35 მილიონი ლარით.

**ნინო ალექსანდრია**

◉ ალიან-ჩალიანი

# საჩუქრები არასრულწლოვან პატიმრებს

**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრთან, გიორგი მღებრიშვილთან ერთად არასრულწლოვანი მსჯავრდებულები მოინახულა და მათ საჩუქრად სპორტული ინვენტარი გადასცა.**

**არასრულწლოვან პატიმრებს ასევე ეწვივნენ საქართველოს ეროვნული რაგბის ნაკრებისა და ტონგას ეროვნული რაგბის ნაკრების წევრები.**

**სპორტული ინვენტარისა და საფეხბურთო ფორმების გადაცემა „არასრულწლოვან და ახალგაზრდა მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა. აღნიშნული პროგრამა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ უკვე ორი წელია, წარმატებით ხორციელდება და არასრულწლოვან და ახალგაზრდა მსჯავრდებულების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ხელშეწყობას ისახავს მიზნად.**

**მიმდინარე წელს პროექტი რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს: სპორტში აქტიურად ჩართვის ხელშეწყობა; არაფორმალური განათლების მიმართულებით ტრენინგ-სემინარების უზრუნველყოფა; პროფესიული (სახელობო) სწავლების უზრუნველყოფა; ინტელექტუალური, შემეცნებითი და კულტურული ღონისძიებების, სწავლების, აქტივობების განხორციელება; არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმდინარეობს რეგულარული საწვრთნელი პროგრამა ფეხბურთსა და რაგბში, მათ წვრთნებს კვირაში ორჯერ, პროფესიონალი მწვრთნელები უტარებენ.**

**ინტერპრესი**

№227. პარასკევი, 7 ნოემბერი, 2014 წელი.

# ხელი არ გამოჰკრათ მომაკვდინებელ სასხლეტს!

**დედაქალაქის არქიტექტურულ-ურბანული პრობლემები გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ქვეყანაში ბოლო ხანს ზვავივით აგორებულ პოლიტიკურ პრობლემებს.**

**ქართულ არქიტექტურაში ქაოსი და განუკითხაობა გრძელდება, ქართულ პოლიტიკაში საქართველოს დამაქცევარი შიდა დაპირისპირებები ღრმავდება...**

**საკუთარი დედაქალაქის იერ-სახის, ისტორიული უბნების გადარჩენა მხოლოდ სწორი სტრატეგიით და კანონის უზენაესობით არის შესაძლებელი.**

**ქვეყნის პოლიტიკური მომავლის, ქართული ცნობიერებისა და კულტურის გადარჩენაც სწორედ კანონის უზენაესობით და სახელმწიფოებრივად ჯანსაღი სტრატეგიით არის შესაძლებელი.**

**პოლიტიკურ პრობლემებზე ჩვენი გაზეთი ყოველდღიურად მოგითხრობთ, არქიტექტურაზე კი — ხანგამოშვებით.**

**დღეს პოლიტიკასთან ერთად არქიტექტურის ჯერიც დადგა. გვესაუბრება „საქართველოს რესპუბლიკის“ ურბანულ-არქიტექტურული პრობლემების ექსპერტი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ვახტანგ დავითაია.**

**— სამ თვეზე მეტია თბილისს ახალი საკრებულო, მერი, მერის მოადგილეები და სამსახურების ხელმძღვანელები ჰყავს. მოლოდინი დიდი იყო. რა ცვლილებებია დედაქალაქის ყველაზე მტკივნეულ არქიტექტუტულ-ურბანულ უბანზე?**

— რეალური ცვლილებებისთვის, ასევე დასკვნებისთვის სამი თვე ცოტაა, თუმცაღა, არის გარკვეული იმპულსები. როგორც იქნა, არქიტექტურული სამსახურის ხელმძღვანელად დაინიშნა პროფესიით არქიტექტორი. როგორ შეძლებს ის ამ ურთულესი სისტემის მართვას, დრო გვიჩვენებს, ზოგადად კი ვიტყვი: მართვა, ანუ მოდურად რომ ვთქვათ, მენეჯმენტი ურთულესი საქმეა და ითხოვს პროფესიულ განათლებას. როგორც წესი, დარგის მართვის სპეციალისტმა — მენეჯერმა სწავლის ორი ეტაპი უნდა გაიაროს — პროფესიული განათლება, სულ მცირე, ბაკალავრიატის დონეზე, შემდეგ — მენეჯმენტი. ამერიკაში, პედაგოგიური მოღვაწეობის დროს ჯგუფში ერთი იაპონელი სტუდენტი მყავდა, გამორჩეულად ნიჭიერი, წარმატებული პროფესიული კარიერა ვუწინასწარმეტყველე. მან მითხრა, არა, მე არქიტექტურულ პრაქტიკას არ გავყვები, აქ ოთხწლიან ბაკალავრიატს რომ დავამთავრებ და დავეუფლები არქიტექტურის ანბანს, სწავლას გავაგრძელებ ინგლისში, არქიტექტურის მენეჯმენტზეო. გამოდის, რომ მან რვა წელი უნდა ისწავლოს მართვის ხელოვნება.

სხვა ცვლილებებიდან აღვნიშნავ: საბჭო დაკომპლექტდა ახალი წევრებით, არის არქიტექტორებთან საქმიანი ურთიერთობების დამყარების, არქიტექტურული კონკურსების ჩატარების, საზოგადოებასთან ურთიერთობის სურვილი. ეს უკვე კარგია!

**— როგორც ჩანს თქვენი მრავალწლიანი დაჟინებული მოწოდება — „დაუბრუნეთ არქიტექტურა არქიტექტორებს!“ — ძალას იკრებს. ფართო საზოგადოებას, თბილისელებს, აინტერესებს თქვენი აზრი კონკრეტულ საკითხებზე, კერძოდ, როგორია დავით აღმაშენებლის ძეგლის მის ძველ საუფლოში დაბრუნების, ასევე მავნებელი ჰეროსტრატეს — დიქტატორ სააკაშვილის მიერ აფეთქებული ქუთაისის „დიდების მემორიალიდან“ სასწაულებრივად გადარჩენილი მერაბ ბერძენიშვილის ბრწყინვალე კომპოზიციის „გამარჯვების მაცნეს“ თბილისის პარლამენტის ეზოში დადგმის საკითხი?**

— მნიშვნელოვან კულტურულ ფაქტთან ერთად ეს იქნებოდა სამართლიანობის აღდგენის ნათელი მაგალითი და, რა თქმა უნდა, მონანიება დიდი ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის წინაშე მისადმი გამოჩენილი სისასტიკისა და ძალადობის გამო. არ დაგიმალავთ, მეგონა, რომ ბატონ დავით ნარმანიას ერთ-ერთი პირველი აქცია დავით აღმაშენებლის ძეგლის გადმოტანა იქნებოდა. ეს განამტკიცებდა რწმენას, რომ იწყება ცვლილებები... მით უმეტეს, რომ საზოგადოებრივი აზრი კატეგორიულად ითხოვს ამას. რაც შეეხება „გამარჯვების მაცნეს“ დადგმას პარლამენტის ეზოში, ამ რამდენიმე თვის წინათ საინიციატივო ჯგუფმა ეს საკითხი დააყენა კულტურის სამინისტროს წინაშე. სამინისტრომ წინადადება გადაუგზავნა პარლამენტს. იქიდან პასუხი არ ჩანს... არა და, სიმბოლური აქცია იქნებოდა პარლამენტის დედაქალაქში დაბრუნების აღსანიშნავად. საჭიროა ნება, ხარჯები უმნიშვნელოა.

**— თბილისელებს უკიდურესად კრიტიკული დამოკიდებულება აქვთ სასტუმრო „ივერიის“ („რადისონ-ბლუს“) — ფუნიკულიორის საბაგირო გზის მიმართ.. არსებობს უმოკლესი მანძილის ძველი ტრასა მოხერხებულ ადგილას. საზოგადოებას უფლება აქვს, იცოდეს, თუ ვისგან მოდის ეს იდეა, რატომ უნდა გავიყვანოთ ახალი საბაგირო, რომელიც მნიშვნელოვნად გრძელია და რომლის უწყვეტად მოძრავი ვაგონები დაკიდებული იქნება რუსთაველის გამზირზე და ათობით სახლის თავზე?**

— ეს იდეა მოდის ძველი ხელისუფლებიდან. მიშისტებმა მოასწრეს ქვედა სადგურის საძირკვლების და საყრდენების მშენებლობის დაწყება. მოქალაქეთა მძაფრი რეაქციის გამო მერიამ ეს მშენებლობა შეაჩერა, მაგრამ არა ვარ დარწმუნებული, რომ ის არ განახლდება, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ხვდება — ეს პროექტი არა მხოლოდ აბსურდული, არამედ **დანაშაულებრივიცაა**. ამ სამიოდე კვირის წინათ შევხვდი ბატონ დავით ნარმანიას, გავაცანი ჩემი ხედვა არქიტექტურულ-ურბანული პროცესის მართვის საკითხებზე, ასევე ამ საბაგირო გზაზე, ვურჩიე საგანგებო კომისიის შექმნა და ამ საკითხის მოგვარება. გთხოვთ, გამოაქვეყნოთ ეს ფოტოები, თბილისელები ნახავენ, თუ რამდენად დაგრძელდა საბაგირო გზა, რა მჭიდროდ დასახლებულ უბანზე გადადის ტრასა, რამდენად მეტ ოჯახს ექმნება მუდმივი საყოფაცხოვრებო და ფსიქოლოგიური დისკომფორტი. ამ გზის განხორციელება იქნება ახალი ხელისუფლების, უპირველეს ყოვლისა, მერის გამოუსწორებელი შეცდომა, მუდმივი „წყევლა-კრულვის“ საგანი. **მიუხედავად იმისა, რომ იარაღი დატენა წინა ხელისუფლებამ და მოიყვანა საბრძოლო მდგომარეობაში, მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმას, ვინაც მომაკვდინებელ სასხლეტს გამოჰკრა ხელი, ანუ დღევანდელ ხელისუფლებას. ამას ყველა იგრძნობს საბაგიროს ამუშავებიდან ხუთ წუთში.** სავსებით ვეთანხმები თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულ „ტფილისის ჰამქრის“ განცხადებას ამ საკითხზე („საქართველოს რესპუბლიკა“ 28.X.2014).

**— რამდენადაც ვიცი, გამოცხადებული იყო არქიტექტურული კონკურსი სასტუმროს წინ ახალი სადგურის პროექტზე. რა შედეგით დამთავრდა ის?**



საყრდენი გრიბოედოვის ქუჩის დასაწყისში

— საქმე ქვედა სადგურის არქიტექტურის ავ-კარგიანობაში კი არ არის, არამედ იმაში, რომ ამ ობიექტის იქ დასმა პრინციპულად მიუღებელია. დავუშვათ, იქ არ იქნებოდა ის „კვერცხი“. ყველა სადგური, რაც მე მინახავს, ლითონის ჩონჩხია, საიდანაც ერთმანეთის მიყოლებით ძვრებიან გონდოლები. რა, ძალიან მოგწონთ რიყის სადგური? რაც შეეხება კონკურსს, ის დამთავრდა ისე, როგორც უნდა დამთავრებულიყო. შემოვიდა ორი პროექტი. ერთი კონკურსის პირობებს ვერ აკმაყოფილებდა და მოხსნეს. მეორე, ალბათ, საერთოდ მიუღებელი იყო (კონკურსზე, თქვენის ნებართვით, ქვემოთ მოგახსენებთ). **ახლა ერთ იდეას „გაგიმხელთ“ საბაგიროსთან დაკავშირებით**: ბოლო წლებში არაერთხელ მომიწია ფუნიკულიორზე ასვლა. მე იქ რიგები არ მინახავს, მაშინაც კი როდესაც დაანონსებული ღონისძიებაა, არც სხვისგან გამიგია, რომ რაიმე დისკომფორტი შექმნოდეთ. ფუნიკულიორზე მიდის კეთილმოწყობილი საავტომობილო გზა, რომელიც იმავდროულად არის შესანიშნავი „სამზერი ტრასა“ თბილისზე. არის მაღალი გამტარობის კომფორტული რკინიგზა-ტრამვაი, რომელთანაც თბილისელები მიდიან სხვადასხვა ტრანსპორტით. **რატომ არ შეიძლება საბაგირო გზის ქვედა სადგურის მოწყობა მაყაშვილის ქუჩაზე, ასახვევთან ან ცოტა ზემოთ? იქვე შეიძლება მოეწყოს მრავალსართულიანი სივრცული ავტოსადგომი მექანიკური ამწეებით, იქ თბილისელები ისევე მივლენ, როგორც მიდიან დღეს ფუნიკულიორის ქვედა სადგურთან, როგორც მიდიოდნენ ძველი საბაგირო გზის სადგურამდე. ეს მოხსნის მრავალ პრობლემას და დიდად ეკონომიურიც იქნება**. ამ ფერდობზე არის გარკვეული გეოლოგიური პრობლემები, რომლებიც იოლად მოსავლელია. ეს ტრასა ორჯერ უფრო მოკლეა შემოთავაზებულთან შედარებით, ის არც ერთი ნაგებობის თავზე არ გადადის. ბოლოს და ბოლოს, პრობლემა ფერდობის დაძლევაშია.

**— მართლაც საყურადღებო წინადადებაა, ხშირად ჭეშმარიტება ცხვირწინ დევს, დამნახავი უნდა! მაინტერესებს თქვენი აზრი პუშკინის ქუჩაზე ესტაკადის მოწყობის, ორმხრივი მოძრაობის აღდგენის თაობაზე. ამის შესახებ ბატონმა ნარმანიამ კატეგორიულად განაცხადა... ასევე მაინტერესებს თქვენი თვალთახედვა მეგაპროექტ „თბილისის პანორამაზე“.**

— პუშკინის ქუჩის ცალმხრივ მოძრაობაზე გადაყვანა, ასევე ისტორიული ნარჩენების მოშიშვლება, რომელიც სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენების ბუდეა, ისევე დაუფიქრებელი, თვითნებური, დილეტანტური გადაწყვეტილება იყო, როგორც ბევრი სხვა რამ ავტორიტარიზმის პერიოდში. ბოლო ათწლეულების სატრანსპორტო ბუმმა მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა ისტორიულ ქალაქებს, მათ შორის, თბილისსაც. ამ პრობლემას ყველა ქალაქი თავისებურად „ებრძვის“ და წყვეტს სერიოზული ანალიზის შემდეგ. დიდი ურბანული ღონისძიებები, ზოგჯერ, ითხოვენ **არაპოპულარულ გადაწყვეტილებებს, რაღაცის დათმობას, „გარდაუვალი აუცილებლობის“ პრიმატს**. XX საუკუნის ერთ-ერთი სენსაციური ჰიპერაქცია იყო ეგვიპტეში ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნეში, რამზეს II პერიოდში აშენებული აბუ-სიბელის მრავალქანდაკებიანი „დიდი ტაძრის“ დახერხვა 1020 ნაწილად და გადატანა 60 მეტრით მაღალ ნიშნულზე. ეს გაკეთდა ქვეყნისთვის სასიცოცხლო პრობლემის — ასუანის კაშხლის მშენებლობის გამო. ასევე აუცილებელი იყო ვარაზისხევის და ვაკე-საბურთალოს შემაერთებელი გზის გაჭრა. ცხადია, კლდის ჩაჭრა დანაშაულია ლანდშაფტის მიმართ, მაგრამ ის გარდაუვალი იყო ურბანული თვალსაზრისით. ვეთანხმები ბატონ მერს, — პუშკინზე ორმხრივი მოძრაობის აღდგენა აუცილებელია. რა არქიტექტურული ტაქტით მოხდება ეს, უნდა გადაწყდეს კონკურსით. რაც შეეხება „თბილისის პანორამას“, სასტუმრო „ჰოლიდეინში“ ჩატარებული პრეზენტაციის შემდეგ რა ხდება, არაფერი ვიცი. იმ დროს წარმოდგენილი მწირი მასალა სრულიად არასაკმარისი იყო არა თუ რაიმე გადაწყვეტილების მისაღებად, არამედ ზედაპირული შეფასებისთვისაც კი. ის პრეზენტაცია კონტპროდუქტიული იყო. ზოგადად კი ვიტყვი, ამგვარი მეგაპროექტები უნდა განხორციელდეს ქალაქგარეთ, ქალაქ სატელიტებში. სხვა შემთხვევაში ისტორიული ბირთვის კოლაფსი გარდაუვალია. ამას რაც უფრო ადრე მივხვდებით, მით უკეთესია...

**— კონკურსზე (კონკურსებზე) მაინც რისი თქმა გინდოდათ?**

— მივესალმები არქიტექტურული სამსახურის მცდელობას, რომ კოლეგებთან ურთიერთობა ააგოს კონკურსებით. კატეგორიულად უნდა აიკრძალოს მერიაში „რეწვა“ — პროექტირება. წინა ხელისუფლების დროს მერიას, კერძოდ ვიცე—მერს, არქიტექტურის კურატორს, არქიტექტურული საბჭოს თავმჯდომარეს ჰყავდა ზონდერ-მეფასადეთა ჯგუფი. სამსახურის თანამშრომლები, ასევე, მონურად მორჩილი საბჭო იწუნებდა თითქმის ყველა ობიექტის ფასადს, შემდეგ „კლიენტს“ თავაზობდნენ ახალ ვარიანტს „უსასყიდლოდ“. ეს „ვარიანტები“ უმეტეს შემთხვევაში მნიშვნელოვნად უარესი იყო წინაზე. თუ ვინმეს ეჭვი შეეპარება, შემიძლია ეს მასალა გამოვაქვეყნო, მაგრამ ეს აქცია ხშირად დაკვეთის ზონდერ-არქიტექტორებზე გადასვლით მთავრდება. „კლიენტს“ მეტი რა უნდა, მერია დაუპროექტებს და დაუმტკიცებს! ამ წესით არაერთმა არქიტექტორმა დაკარგა სიმწრით ნაშოვნი დაკვეთა. რაც შეეხება კონკურსებს: არქიტექტურულ პროექტირებასთან მიმართებაში უნდა გამოირიცხოს სიტყვა „ტენდერი“, იაფად კეთება. მთელს მსოფლიოში პროექტირებაზე ეკონომიას „დანაშაულებრივ ეკონომიას“ უწოდებენ. კონკურსი უნდა ჩატარდეს ყველა მნიშვნელოვან ობიექტზე, განურჩევლად, დამკვეთი არის სახელმწიფო თუ კერძო ინვესტორი. ეს მიღებული წესია მთელ მსოფლიოში. **კონკურსისადმი ინტერესს, შესაბამისად შედეგს, სამი ფაქტორი განაპირობებს: პრემიების ოდენობა და რაოდენობა, ჟიურის კვალიფიკაცია (ნდობა — პროფესიული რენომე) და საკონკურსო ვადები.** დიდად სამწუხაროდ, ბოლო ათეული წლების მანძილზე და დღესაც ყველა ეს მოთხოვნა უგულებელყოფილია, ამიტომაც კონკურსისადმი ინტერესი დაბალია. ამ კონტექსტში ხაზგასმით მინდა, ვთქვა: **კონკურსის შედეგიანობას განსაზღვრავს არა მონაწილეთა რაოდენობა, არამედ მონაწილეთა პროფესიული ხარისხი**. დი-

დი პროფესიონალის დაინტერესება მხოლოდ ზემოთჩამოთვლილი პირობებით შეიძლება. კარგი იქნება არქიტექტურის სამსახურში თუ ჩამოყალიბდება სპეციალური კონკურსების ჯგუფი. რაც შეეხება საბაგირო გზის სადგურის კონკურსის ჩაშლას, ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ პროფესიული აზრი ამ ობიექტის წინააღმდეგია. არავის არ სურს, გახდეს აბსურდის თანამონაწილე. კონკურსის პირობები არ იყო შედგენილი არქიტექტურული კონკურსების საერთაშორისო წესების შესაბამისად. ერთადერთი პრემიის ოდენობა იყო მიზერული, მინისტრების თვიური ხელფასების დანამატზე ოდნავ მეტი. როგორც ჩანს ზოგიერთებს კონკურსი ჰგონიათ „დაასხი, დალიე“. არც ჟიური იწვევდა ნდობას, ვადები იყო უაღრესად მცირე — შესაბამისად, შედეგი ცუდი.

**— თქვენ ზემოთ თქვით, რომ დედაქალაქის ახალ მერს გააცანით თქვენი ხედვა ქალაქის არქიტექტურულ-ურბანული პროცესის მართვის საკითხებზე, საზოგადოებასაც დიდად აინტერესებს ეს პრობლემა, იქნებ, ბოლოს, და ბოლოს შეწყდეს განუკითხაობა და ქაოსი. როგორია თქვენი წინადადებები?**

— ქალაქის განვითარების უპირველესი დოკუმენტია გენერალური გეგმა, რომელიც მუდმივი განვითარებისა და სრულყოფის ობიექტია. დღევანდელი გენერალური გეგმის არსი მნიშვნელოვნად განსხვავებულია „გეგმიური სახელმწიფოს“ გენგეგმისაგან. არაფერი დაშავდება თუკი პირობითად ვისარგებლებთ ტერმინით „გენგეგმა“. გენგეგმაზე მუშაობის დაყოვნების ყოველი დღე აძლიერებს არქიტექტურულ-ურბანულ ქაოსს. აუცილებელია, დროულად ჩამოყალიბდეს გენგეგმის ინსტიტუტი ან დეპარტამენტი. ის უნდა იყოს ქალაქის ბიუჯეტზე მყოფი მუდმივი სტრუქტურა და არა დროებითი „გენგეგმის ჯგუფი“. მხოლოდ ამ წესით შეიძლება მერიას ქონდეს ზუსტი პასუხი და ალტერნატიული წინადადებები „მოთხოვნაზე“ ინვესტორებისთვის, მხოლოდ ასე შეიძლება საზოგადოებრივი აზრის და მოქალაქეთა პერმანენტული პროტესტის დაშოშმინება.

— საჭიროა არქიტექტურული სამსახურის სტრუქტურული სრულყოფა, სახელწოდებიდან დაწყებული უფლებამოსილებათა სკრუპულოზური დაზუსტებით და გამიჯვნით. მე უპირატესობას ვანიჭებ დასახელებას — „ქალაქ თბილისის მთავარი არქიტექტორის სამსახური“, „სამსახურის უფროსის“ ნაცვლად — „მთავარი არქიტექტორი“.

—სტრუქტურა ასე წარმომიდგენია: მთავარი არქიტექტორი. მთავარი არქიტექტორის პირველი მოადგილე — არქიტექტორი, რომელიც პრაქტიკულად ანხორციელებს მიღებულ გადაწყვეტილებებს; არქიტექტორ-ურბანისტი, რომლის უმთავრესი ფუნქცია იქნება გენგეგმის სამუშაოთა კოორდინაცია და მისი რეალიზაციის საკითხები, ურბანული ალტერნატივების ბანკის შექმნა, მოადგილე, არქიტექტორი „მთავარი მხატვარი“, რომლის ფუნქცია იქნება ქალაქის კეთილმოწყობა, მცირე არქიტექტურა, გამწვანება, განათება, რეკლამა, მონუმენტები, მემორიალები, და სხვა.

სამსახურის სტრუქტურული განყოფილებები, ცალკე საკითხია.

**<u>მთავარი არქიტექტორი აუცილებლად უნდა იყოს მერის მოადგილე!</u>**

მთელი ეს ღონისძიებები წყალში ჩაიყრება, თუ კი თანამდებობებზე არ შევარჩევთ მაღალი რანგის პროფესიონალებს, ორგანიზატორებს, ინიციატივიან პიროვნებებს. „კადრები წყვეტენ ყველაფერს“.

— აუცილებელია, მერიას ქონდეს ახალ მშენებლობათა საექსპოზიციო დარბაზი. სასურველია, ეს დარბაზი იყოს მერიაში, მის პირველ სართულზე, დამოუკიდებელი შესასვლელით. სასურველია არქიტექტურულ-ურბანული საბჭოს სხდომების ამ სივრცეში ჩატარება. აქვე უნდა იყოს გამოფენილი გენერალური გეგმის ვიზუალური მასალა.

— უნდა აღდგეს პროექტების ექსპერტიზის სამსახური. ექსპერტი პასუხისმგებელია შედეგზე.

— მერიამ, არქიტექტურის სამსახურმა არქიტექტურულ-ურბანული პროცესი უნდა მართოს **<u>არქიტექტურულ-ურბანული საბჭოს მეშვეობით</u>**. საბჭო, იმავდროულად უნდა იყოს გენგეგმის დებულებების დაცვის გარანტი.

საბჭოს წევრები უნდა იყვნენ დარგის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები;

საბჭოს სხდომები უნდა ტარდებოდეს ღიად. მოქალაქეებს უნდა ქონდეთ დასწრების უფლება, აზრის გამოთქმის უფლებაც. საბჭოს ჩატარების ადგილი უნდა იყოს მისაწვდომი.

**— დღეს მსოფლიოში ათასნაირი საპროტესტო მიტინგი იმართება, მაგრამ არ მახსენდება, რომ პარიზში, ლონდონში, ნიუ-იორკში, ბერლინში, ვენაში, პრაღაში ხალხი გამოდიოდეს მშენებლობის წინააღმდეგ. თბილისში კი ეს ჩვეულებრივი მოვლენაა — აპროტესტებენ იმელის რეკონსტრუქციას, ვაკის პარკში მშენებლობას, ყოფილი ფსიქიატრიულის ტერიტორიაზე საბინაო მშენებლობას, საბაგირო გზის მშენებლობას, „თბილისის პანორამას“ და სხვ. რაშია საქმე?**

— ამ ქვეყნებს არ ჰყავდათ ისეთი კანონდამრღვევი ხელისუფლება, როგორიც საქართველოს. ამ ქვეყნებში არსებობს არქიტექტურულ-ურბანული დისციპლინა, კანონის უზენაესობა. თბილისს 30 წელია, არა აქვს განვითარების სტრატეგია, ქალაქის კონსტიტუცია, ანუ გენგეგმა. ამისთვის არც ავტორიტარიზმის პერიოდის მერიას და არც მათ წინამორბედებს არ უზრუნიათ. წინამორბედებს თანხები არ ჰქონდათ, სააკაშვილისთვის ამდაგვარი დოკუმენტის შექმნა ხელშემშლელი იყო მერკანტილური მისწრაფებების გზაზე. მათ არქიტექტურისა და მშენებლობის წარმართველი ყველა უწყება გააუქმეს, უმნიშვნელოვანესი დარგი უთავოდ დატოვეს. არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტროში 400 მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი საქმეებს ძლივს აუდიოდა. დღეს ის შეცვალა ეკონომიკის სამინისტროს 10-კაციანმა განყოფილებამ. ამ სამინისტროსთვის არქიტექტურა გერია. ყოველივე ამან ურბანულ ქაოსთან ერთად არქიტექტორების ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, საერთოდ კულტურული სფეროდან დისტანცირება-განდევნა გამოიწვია. არქიტექტორები დღეს საბალახოდ მიშვებული ძროხის მდგომარეობაში არიან. საბაზრო ეკონომიკა, კაპიტალი, ულმობელი და დაუნდობელია. იქ, სადაც ქალაქის მესვეურები არ აღმოჩნდნენ თავის სიმაღლეზე, კაპიტალმა ყველა ისტორიული ქალაქი გააჩანაგა. ნახეთ, როგორ არის ათენის აკროპოლის ფერდობები მოშენებული, პართენონი მხოლოდ ღამით წარმოჩინდება თავისი დიდებულებით. თბილისში მსგავს გაუპატიურებულ ადგილებს ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით. არსად არავის ჩაუდენია ისეთი საშინელება, რასაც ადგილი აქვს სპორტის სასახლის ირგვლივ, მეცნიერებათა აკადემიის ყოფილ ტერიტორიაზე, მზიურში, რიყეზე, I კლასიკური გიმნაზიის უკან... „დამუწუკებულია“ პრეზიდენტის სასახლის ფერდობი, კუსტარული და სტიქიურია თბილისში დასავლეთიდან შემოსასვლელი გზატკეცილი, არ დარჩა არც ერთი ბაღი და სკვერი, სადაც შენობა არ ჩააკვეხეს! ყველა ეს უმსგავსობა — დანაშაული სანქცირებული იყო თბილისის მერიის მიერ. მათ სრული კონტროლი ქონდათ დაწესებული პროცესზე. აშკარაა, რომ ყველა ამ დანაშაულის უკან ჩინოვნიკების ფინანსური ინტერესები იდგა. თმები ყალყზე დაგიდგება, როდესაც ტელევიზიიდან ისმენ წინა ხელისუფლების ნარჩენებისგან მოწოდებას კანონიერების დაცვის შესახებ. არქიტექტურულ-ურბანული პროცესის რეგულირება, ისტორიული უბნების გადარჩენა შესაძლებელია მხოლოდ სწორი სტრატეგიით და კანონის უზენაესობით. არ არსებობს კაპიტალის, ფულის მომრევი ძალა. კაპიტალი და საზოგადოების ინტერესები არ არიან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულნი. მათ შეუძლიათ მშვიდობიანი თანაარსებობა. ეს მოახერხა პარიზმა, პრაღამ, ვენამ, ბალტიისპირეთის დედაქალაქებმა, მრავალმა ისტორიულმა ქალაქმა. საჭიროა ქალაქს ჰქონდეს გონივრული ალტერნატივები, სწორი შეთავაზებები, ეს კი არ წყდება თანამდებობის პირთა კაბინეტებში, არამედ გვარდება პროფესიონალთა ერთობლივი მცდელობით... დაუშვებელია ინვესტორთა ინტერესები ქვეყნის და საზოგადოების ინტერესებზე მაღლა იდგეს, რაც ბოლო წლების მთავარი ტენდენცია იყო...

**— გმადლობთ მართლაც მაღალპროფესიული, ანგარიშგასაწევი, გულშემატკივრული პასუხებისთვის.**

**ესაუბრა**
**სპარტაკ ქოზულია**




1. სადგური რუსთაველის გამზირზე.
2. სადგური ვარდების რევოლუციის მოედანზე.
3. სადგური მაჭაშვილის ქუჩის დასაწყისში.

## პროფესიის პრესტიჟი

# სახელოვანი მეშახტე



**დამსახურებულ სამთოელს თამაზ ჭირაქაძეს 80 წელი შეუსრულდა.**

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ (1957 წელს) მუშაობა დაიწყო ქ. ტყიბულში ტრესტ „საქშახტმშენის“ სისტემაში, კერძოდ დღევანდელი ელიზბარ მინდელის სახელობის შახტის მშენებლობაზე.

მისი უშუალო ხელმძღვანელობით დამყარდა ჰორიზონტალური გამონამუშევრების გაყვანის რესპუბლიკური რეკორდი, 182 გრძივი მეტრის ოდენობით, რომელიც დღემდე არ არის გადაჭარბებული.

1968 წლიდან გადმოიყვანეს ქ. თბილისში „საქშახტმშენის“ №7 ტრესტში, სადაც განვლო შრომითი გზა რიგითი ინჟინრიდან ტრესტის მმართველის მოადგილემდე, ხოლო 1996 წლიდან 2014 წლამდე იმუშავა სააქციო საზოგადოება „საქშახტმშენის“ გენერალურ დირექტორად. მხოლოდ ამ ერთ ორგანიზაციაში მუშაობდა 56 წლის განმავლობაში. მისი კურატორობითა და მონაწილეობით აშენდა და ექსპლუატაციაში ჩაბარდა მრავალი სამრეწველო ობიექტი, როგორიცაა ტყიბულის, ტყვარჩელის შახტები და ჭიათურის მაღაროები, ფერადი მეტალურგიის ფლაგმანი — მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, კვაისის თუთიის გამამდიდრებელი ფაბრიკა, ურავის თეთრი და ძალზე სუფთა დარიშხანის საამქროები და მრავალი სხვა, აგრეთვე სამოქალაქო ობიექტები — საცხოვრებელი სახლები, სოციალურ-კულტურული და სამედიცინო დანიშნულების შენობა-ნაგებობები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში.

მშენებლობის მინისტრის ბრძანებით, 1978 წლიდან პერსონალურად იყო მიმაგრებული საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის სასტუმროს მშენებლობაზე ქ. მოსკოვში, რომელიც ჩაბარდა ექსპლუატაციაში 1982 წელს.

აქვს მიწის ქვეშ 11-წლიანი მუშაობის სტაჟი.

დაჯილდოებულია „მეშახტის დიდების“ სამივე ხარისხის საპატიო ნიშნით, საქართველოს მშენებლობის სამინისტროს საპატიო სიგელებით 1977 და 1982 წლებში.

1999 წელს დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“.

ჩვენს ძვირფას მეგობარს, დამსახურებულ შახტმშენებელს, დიდი ქართული ოჯახის მამასა და დიდ ბაბუას გულითადად ვულოცავთ 80 წლის იუბილეს და ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს თავისი საყვარელი სამშობლოს, ოჯახისა და მეგობრების გულის გასახარად.

**მეგობრები.**

## ინფორმაცია

# დევნილებს საახალწლოდ ახალი ბინები ექნებათ

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებლის რეაბილიტაციის ფარგლებში, მუნიციპალური განვითარების ფონდი, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ქუთაისში 110-ბინიანი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციას ახორციელებს. პროექტის საერთო ღირებულება 5 მლნ 560 ათასი ლარია.**

**ოცხელის ქუჩაზე მდებარე ყოფილი საავადმყოფოს შენობის რეაბილიტაციას ფონდი ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით ახორციელებს. ყოფილი საავადმყოფოს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები 2014 წლის თებერვალში დაიწყო და მიმდინარე წლის ბოლოსთვის დასრულდება. 110 ბინიდან 46 ბინა ერთოთახიანი, 52 ბინაოროთახიანი, 12 ბინა კი-სამოთახიანია. 6 ბინა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სრულად ადაპტირებულია. ამასთან, რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ, საცხოვრებელი კორპუსი და გარე ინფრასტრუქტურა სრულად იქნება ადაპტირებული შშმ პირებისთვის.**



**პროექტის განხორციელების განმავლობაში მშენებლობაზე 120-150 ადამიანია დასაქმებული, რომელთაგან 25% იძულებით გადაადგილებული პირია.**

**ინტერპრესი**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთი საქართველოს საშინაო პოლიტიკურ პრობლემებს გადაწყვეტს?

**საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, რომელიც ამ პოსტზე უკვე თითქმის ერთი წელიწადია, სულ უფრო და უფრო გამოდის თავისი პატრონის ბიძინა ივანიშვილის კონტროლიდან. ეს ქმნის დაძაბულობას სახელმწიფოს მეთაურსა და ივანიშვილთან დაახლოებულ პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილს შორის. მაგრამ სავსებით საალბათოა, რომ რუსეთის ახალი პოლიტიკური კურსი აფხაზეთში გაააერთიანებს დღევანდელ პოლიტიკურ ოპონენტებს.**

ერთი წლის წინათ, ჯერ კიდევ პრეზიდენტის არჩევნებამდე, მაშინდელი მთავრობის თავმჯდომარე ივანიშვილი საქებარ სიტყვას არ იშურებდა პოლიტიკაში ახალი პიროვნების მისამართით, რომელსაც ახლო მეგობარს უწოდებდა, მაგრამ, რაც მარგველაშვილი პრეზიდენტი გახდა, ივანიშვილმა თავისი პოსტი ღარიბაშვილს დაუთმო, რომელიც დიდხანს იმყოფებოდა მის ბიზნეს იმპერიაში. ამას გარდა, პრემიერობიდან წასვლის შემდეგ ივანიშვილმა აღნიშნა, რომ გააგრძელებს მოქმედებას საქართველოს პოლიტიკაზე, ვინაიდან ეს ყოველი მოქალაქის მოვალეობაა.

მაგრამ მიმდინარე წლის მარტში ივანიშვილმა გამოთქვა ღია უკმაყოფილება ახალი პრეზიდენტის მოქმედებების გამო. მარგველაშვილი თითქოს ყურს არ უგდებს მის პოლიტიკურ რჩევებს, თავის ერთ-ერთ მრჩევლად კი დანიშნა მაჭავარიანი, რომლის ძმაც არის პარლამენტის წევრი საakaშვილის ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან. პრემიერ-მინისტრის საქმიანობით კი ივანიშვილი კმაყოფილი იყო თავიდანვე და დღესაც მხარს უჭერს მას.

უნდა აღინიშნოს, რომ უკვე საპრეზიდენტო ვადის ბოლოსთვის სააკაშვილმა ძალაში შეიყვანა საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც ძირითად უფლებებს ხელისუფლებაში თავს უყრის და მთავრობის მეთაურის ხელში, პრეზიდენტი კი ხდება არსებითად ფორმალური პოლიტიკური ფიგურა. სააკაშვილის დროს არავის უჩნდებოდა შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ უნდა წარმოადგინოს საქართველო საერთაშორისო არენაზე, დღეს კი პრემიერ-მინისტრი მუდმივად უწევს კონკურენციას პრეზიდენტს უფლებისთვის გამოვიდეს ტელეკამერების წინაშე საერთაშორისო ღონისძიებებზე, ანდა სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების ხელმოწერის დროს.



მაგალითად, შეთანხმებას საქართველოს ასიგნაციის შესახებ ევროკავშირთან ხელი მოაწერა არა პრეზიდენტმა, არამედ ღარიბაშვილმა. მთავრობამ შეძლო, მიეღო მარგველაშვილისგან ნდობა ამ საქმეზე იმ დოკუმენტის საფუძველზე, რომ საქართველოს ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი შეესაბამება კონსტიტუციას და იგი მაინც უნდა დაამტკიცოს მინისტრთა კაბინეტმა, მაშასადამე, შეიძლება თავიდან აიცილო ზედმეტი ბიუროკრატია.

მაგრამ ეს ყოველივე ერთადერთი შემთხვევა როდია, როდესაც პრეზიდენტს მოუწია დათმობა. უკანასკნელად საქართველოს ხელმძღვანელებმა „ხმლები გადააჯვარედინეს“ ნიუ-იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე წასვლასთან დაკავშირებით. გაეროს სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრაზე, რომელიც ეძღვნებოდა კლიმატის შეცვლას, იგეგმებოდა ორივე ლიდერის გამოსვლა, და უარის თქმა კვლავ მოუწია მარგველაშვილს. მაგრამ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობამ განზრახ შეუშალა მას ხელი, წარმოადგინოს საქართველო გაეროს ასამბლეაზე და მთლიანად ცდილობს, შეზღუდოს მისი გამგზავრებები.

ამ სიტყვების შემდეგ ივანიშვილმა ბრალი დასდო პრეზიდენტს უფსკრულის წარმოქმნაში პრეზიდენტსა და მთავრობას შორის, და ეს იწვევს შეშფოთებას ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებში. მაგალითად, „ტრანსაგენსი ინტერნეიშნელის“ წარმომადგენლობამ საქართველოში გაავრცელა განცხადება, რომელშიც ამტკიცებს, რომ პრეზიდენტისადმი პატივისცემის უქონლობა მთავრობის მხრიდან ასუსტებს ხელისუფლების დემოკრატიულ ინსტიტუტებს.

კრემლი კი, სანამ ქართული ინსტიტუტები უმოწმებენ ერთმანეთს მოთმინებას, არ თვლემს და ცდილობს, განიმტკიცოს თავისი გავლენა აფხაზეთში. მზადდება „ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის რესპუბლიკას შორის მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს აფხაზეთ-რუსეთის შეიარაღებული ძალებისა და სამართალდაცვის ერთიანი ორგანოების შექმნას. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტში საუბარია იმის შესახებ, რომ რუსეთი და აფხაზეთი კისრულობენ ვალდებულებას, დაეხმარონ ერთმანეთს სამხედრო აგრესიის შემთხვევაში.

ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ საქართველოს პრეზიდენტმა დაგმო კრემლის ინიციატივა, როგორც აგრესიული ნაბიჯი, რომელიც მიმართულია საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ.

აფხაზეთს გათვალისწინებული აქვს, ხელი მოაწეროს ზემოხსენებულ ხელშეკრულებას წლის ბოლომდე. ეს უცილობელი ზემოქმედებაა თბილისზე, ვინაიდან რუსეთის გავლენის შემდგომი გაძლიერება უღიარებელ რესპუბლიკაში ამცირებს მისი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების შანსს პრაქტიკულად ნულამდე.

GEOPOLITIKA

# საქართველოს მთავრობა პარტიებად დაიშალა

**ქვეყანაში სახელმწიფო კრიზისი მწიფდება**

**საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას გადადგომამ გამოიწვია მმართველი კოალიციის დაშლის პროვოცირება და საჯარო გათიშვა ქვეყნის პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილსა და „ქართული ოცნების“ დამფუძნებელ ბიძინა ივანიშვილს შორის. სახელმწიფოს მეთაურმა ბრალი დასდო მილიარდერს ქვეყნის კულისებსმიღმა მართვაში. „თავისუფალი დემოკრატების“ კვალდაკვალ მმართველი კოალიციიდან გამოვიდა რესპუბლიკური პარტიაც.**

„ქვეყანა არ უნდა იმართებოდეს კულუარულად“, – განაცხადა 5 ნოემბერს გიორგი მარგველაშვილმა, როდესაც კომენტარს უკეთებდა სისხლის სამართლის საქმეს თავდაცვის სამინისტროს ჩინოვნიკების მიმართ და პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებას – გადააყენოს თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი ირაკლი ალასანია. და, მართალია, პრეზიდენტს სახელები არ დაუსახელებია, თბილისში ეჭვი არ ეპარებათ: მან გადაკვრით მიანიშნა მილიარდერისა და მმართველი კოალიციის დამფუძნებელ ბიძინა ივანიშვილის სკანდალში მონაწილეობის შესახებ. **„რასაკვირველია, მას მხედველობაში ჰყავდა ივანიშვილი. ოლიგარქის გავლენა მთავრობაზე ძალიან ძლიერია“,** – განაცხადა ჩვენთან საუბარში სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ფონდის პრეზიდენტმა ალექსანდრე რონდელმა.

ჯერჯერობით კი კითხვის ნიშნის ქვეშაა მმართველი კოალიციისა და მის მიერ ჩამოყალიბებული მთავრობის მომავალი. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს სხდომის შემდეგ თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა და თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ მისი პარტია ტოვებს კოალიციას.

ამის შემდეგ რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა ხათუნა სამნიძემ, რომელიც ასევე შედიოდა კოალიციაში, განაცხადა, რომ რესპუბლიკელები ამიერიდან ითანამშრომლებენ „ქართულ ოცნებასთან“ „მხოლოდ თემატურად – კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით“. ეს ნიშნავს, რომ რესპუბლიკური პარტია, არსებითად, უკვე აცხადებს, რომ წყვეტს კავშირს ბატონ ივანიშვილის გუნდთან, თუმცა, ეს უფრო მსუბუქ ფორმებში გააკეთა.

კოალიციის დაშლამ შეიძლება მიგვიყვანოს იმასთან, რომ პარტია „ქართული ოცნება“ გადაიქცევა პარლამენტის უმცირესობად. „თავისუფალი დემოკრატები და რესპუბლიკელები 150-ადგილიან პარლამენტში აკონტროლებენ 22 ადგილს, – შეგვახსენა პარტია „ქართული დასის“ თავმჯდომარემ ჯონდი ბაღათურიამ. – თუ მთავრობაში არ იქნება მტკიცე უმრავლესობა, იგი უუნაროდ იქცევა“.

ამ დროს თავად მთავრობაში მწიფდება საშინაო კრიზისი: ირაკლი ალასანიას შემდეგ ქართული ოცნებიდან გამოსვლის შესახებ განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემაც, რომელიც ბატონი ალასანიას ცოლის დაა. მინისტრთან ერთად პოსტები დატოვეს მისმა ოთხმა მოადგილემ და რამდენიმე ელჩმა საზღვარგარეთის ქვეყნებში.

პრემიერი ღარიბაშვილი მომხდარს ტრაგედიად არ მიიჩნევს. „სამწუხაროა, რომ ქალბატონმა ფანჯიკიძემ არჩევანი გააკეთა ოჯახური კავშირის სასარგებლოდ და არა სახელმწიფოს ინტერესებისთვის“, – მოკლედ განაცხადა მან. რის შემდეგაც მიუთითა, რომ ახალი მინისტრები დასახელდება უახლოეს დღეებში და რომ ისინი „ღირსეული ადამიანები იქნებიან“.

Коммерсантъ

# დედამიწის ზურგზე



## კოლუმბიაში შეაჯამეს წვიმის სეზონის შედეგები: 38 კაცი დაიღუპა, დაზარალდა 9 ათასი ოჯახი

**წვიმების სეზონი სამხრეთი ამერიკის ქვეყანაში კიდევ სულ ცოტა ერთი თვე გაგრძელდება, წყალდიდობა და ზვავები ემუქრება 125 დასახლებულ პუნქტს. ძლიერი წვიმების შედეგად ზიანდება არგენტინა, ცნობილია ორი მსხვერპლის შესახებ. ამ პერიოდში საფრანგეთი და იტალიაც ზიანდება გრიგალებისა და წყალდიდობისგან, ერთ-ერთ თვითმფრინავს, რომელიც დასაჯდომად რომში შევიდა, მოხვდა ელვა.**

## „დიდი ოცეულის“ სამიტის ფარგლებში ავსტრალიის პრემიერი შეეცდება სასაუბროდ შეხვდეს პუტინს

**რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელთან მოლაპარაკების დროს ტონი ებოტი აპირებს, განიხილოს მალაიზიის „ბოინგ-777“ დაღუპვის გამოკვლევის მიმდინარეობა. თვითმფრინავი დაიმსხვრა უკრაინის დონეცკის ოლქში. პრემიერს სურს, საუბარში აღნიშნოს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ავსტრალიისთვის, აგრეთვე ნიდერლანდისთვის, მალაიზიის სხვა ქვეყნებისთვის, რომელთა მოქალაქეებიც თვითმფრინავში იმყოფებოდნენ, ფართო ურთიერთობას გამოკვლევის საკითხებში.**



## მსოფლიომ გაიგო „ზღვის კატის“ სახელი, რომელმაც უსამა ბინ ლადენი მოკლა

**„ალ-ქაიდას“ ყოფილი ლიდერის ლიკვიდაცია მოახდინა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების მებრძოლმა რობ ო' ნილმა, იტყობინებიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. მან გაამჟღავნა თავისი პიროვნება, ვინაიდან სამსახურიდან ვადამდელი გათავისუფლების გამო იგი მთელი რიგი იმ სოციალური შეღავათების გარეშე დარჩა, რაც სამხედრო მოსამსახურეებს ეკუთვნით. ამერიკელმა დაწესებული 20 წლის ნაცვლად იმუშავა 16 წელი.**

## ამერიკის იუსტიციის სამინისტრომ გენადი ტიმჩენკოზე მიიტანა ეჭვი, რომ იგი ფულს ათეთრებდა ამერიკის საფინანსო სისტემის დახმარებით

**ნიუ-იორკის შტატის პროკურატურამ ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროსთან ერთად დაიწყო გამოკვლევა რუს ბიზნესმენთან დაკავშირებით. საკითხი შეეხება შეთანხმებებს ნავთობის გადაყიდვის შესახებ, რომლებიც დადებული იყო „გუნვორსა“, რომელსაც ადრე ტიმჩენკო ფლობდა, და „როსნეფტს“ შორის. გამოძიებას განზრახული აქვს, დაადგინოს შესასყიდი ფასები ნედლეულზე, რომელიც მემკვიდრეობით „გუნვორისგან“ მიიღო.**




„ვია-დოლოროსა“.

მეწამული გვირგვინი დაადგა მთას ზეთისხილისას. ღამეული ჩრდილი ნელა ჩამოუყვა იერუშალაიმის ფერდობს და მალე თაკარა მზემ დაფარა ქედრონის ხეობა, გეთსემანია და ბეთლემის აკანი. სადღაც ჯიქმა თუ აფთარმა იგუმანა სისხლის სუნი. მტრედების ღუღუნმა კი, ჰიმნი უგალობა ამქვეყნიურ სიკეთეს, წმინდა მდინარის ანკარა ტალღებში კალმახები ატკმარცალდნენ და ერთი ათასად ქცეულნი დაიძრნენ სათავისაკენ. პურის ყანა მზეკაზანად აბიბინდა ველზე და უწმინდეს ტაბლატაბაკზე მისართმევად ამზადებდნენ იფქლს.

უკვე ეხილა ქი-ან-ა-ს იესოს სასწაული. წყალი ღვინოდ ექცია მაცხოვარს და 5000 ნატრაპეზალ უპოვარს გოდრებით წაეღო შინ პური და თევზი!

ალბათ, ასევე აცხუნებდა მნათობი მაშინაც! მე მხოლოდ ბიბლიისა და წმინდა წიგნთა ნაბრძანებს ვიმეორებ გონებაში და ნელა მივუყვები აღმართს შეჭიდებულ ბილიკს.

...და იერუშალაიმის კარიბჭეს ვუახლოვდები, საიდანაც იწყება „ვია-დოლოროსა“, დიდებისკენ აღმავალი „ტკივილიანი გზა“!

...საკუთარი ქოხიც არ ედგა იესოს არსად, მაგრამ მისი ქოხი და სასახლე აღმართულიყო ყოველი მორწმუნის გულში. არც ბეთანიაში ედგა კველა, მაგრამ ედგა აქ ტახტი დიდებისა. იესოს ყოველი მობრძანება ამ არეში, კეთილმორწმუნე მრევლისათვის მუდამ ზეიმი იყო, უფლის სტუმრად რაცხდნენ.

მეტწილად მის მიერ მკვდრეთით აღდგენილ ლაზარეს სახლში სტუმრობდა იესო. მაგრამ იმ ოთხშაბათს სვიმონ კეთროვანის ქოხში შეიკრიბნენ საიდუმლო სერობაზე. თუმცა, რაღა საიდუმლო ეგ იყო? – სვიმონი ხომ იესომ განკურნა კეთრისგან სამუდამოდ და... სწორედ აქ, მოციქულებთან გააჟღერა საბოლოოდ მაცხოვარმა:

– აღიღეთ პური და ჭამეთ!... ის ჩემი სხეულია!...

აღიღო სასმისი და მისცა მოციქულთა იგი. და უთხრა მათ:

– მეტს აღარ შევსვამ ვაზის ნაჟურს იმ დღემდე, როცა შესვამთ თქვენ ახალ ღვინოს სასუფეველში!... იგი ჩემი სისხლია! (მარკოზი).

მერე მოციქულთაგან ყველას ფეხები დაბანა და აკურთხა, მაგრამ... იყვნენ მათ შორის დაეჭვებულნიც...

გეთსემანიის ბოსტან-ბაღში, ზეთისხილის მთის ძირას, ქედრონის გადაღმა იწყებოდა გზა-შარა, რომელსაც მიწიერი იესო აჰყავდა ზეციურ სასუფეველში!...

...და გაუმხილა მათ იესომ:

– ერთ-ერთი თქვენთაგანი, რომელიც ახლა პურს ჭამს ჩემთან ერთად, გამცემს მე!

ამ დროს სინოდრიონს უკვე ჰქონდა ბრძანება გაცემული, – 30 ვერცხლს ჰპირდებოდნენ იმას, ვინც აცნობებდა იესოს სადგომ ალაგს!...

...ღალატი ელოდა დროს-ჟამს, და ეს დრო-ჟამი დამდგარიყო სიმონ კეთროვანის სახლში ყოფნის ჟამს!

მანამდე კი, ერთი კვირით ადრე, სწორედ აქ ეწვია ქრისტეს მემრუშე ქალი, რომელსაც ეხილა თუ როგორ განკურნა იესომ სვიმონ კეთროვანი და სჯეროდა, მასაც შეიბრალებდა და იხსნიდა ცოდვებისაგან. ქალმა გაბედა და მაცხოვარს ფეხებზე მიასხურა ძვირფასი ნელსაცხებელი და ვედრებითა და მუდარით თავადვე შეუმშრალა თავისივე თმებით.

იუცხოვეს მემრუშე ქალის ეს საქციელი მოციქულებმა. მაგრამ იესომ მაინც შეიწყნარა იგი ცოდვილი, და რქვა მან: – შეიწყნარე ყველა ცოდვილი, რომელიც შეწყნარებას ითხოვს!

და დაცხრნენ დაეჭვებულნიც.

მხოლოდ ერთი გაიყიდა 30 ვერცხლად!...

საიდუმლო სერობის დროს იუდა ისკარიოტელს უკვე ჩადენილი ჰქონდა თავისი წილი ცოდვა. მართალია, იესომ სხვა მოციქულთა დარად, მასაც დაბანა ფეხები, მაგრამ არც ამ სიკეთემ გადაათქმევინა თავისი ავი საქნარი.

...ხოლო იუდამ რომაელთა დამსჯელი რაზმი და მღვდელმთავართა და ფარისეველთა გამოგზავნილი მსახურნი წაიყვანა და ჩირაღდნებითა და იარაღით მივიდნენ იქ...

იესომ იცოდა რაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ გამოვიდა და ჰკითხა მათ:

– „ვის ეძებთ?

მიუგეს მათ;

– იესო ნაზარეველს!

– მე ვარ!

როდესაც უთხრა „მე ვარ“, მოსულებმა უკან დაიხიეს და მიწაზე დაემხნენ.“ (იოანე 17. 3-6).

...და მოციქულები (გარდა ერთისა), რომლებიც იესოში ხედავდნენ მხოლოდ მეფეს ისრა- ელისას, საბოლოოდ დარწმუნდნენ მის ღვთაებრიობაში!

...და უხამსთა მიერ გაყიდული, საკუთარი ნებით გაუდგა პილატეს მსაჯულობით გოლგოთისკენ დაგეშილ გზას, რათა ეხსნა კაცობრიობა ცოდვებისაგან!

...და მიწაზე გაყიდული, აღევლინა ცათა შინა!

...და გამყიდველმა ჯოჯოხეთში დაიმკვიდრა სატანჯველი!... თუმცა, ვაი, რომ ჯერ კიდევ ბევრნი დარჩნენ უზნეონი დუნიაზე!...

...გეთსემანიის ბაღჩა-ბაღიდან მარცხნივ ბეთლემისკენ მიდის გზატკეცილი, მარჯვნივ, – წმინდა სტეფანეს, ანუ ლომების კარიბჭესთან მიგიყვანთ არაბი ტაქსისტის არაბა.

...ჩვენ ფეხით მივუყვებით აღმართს „ვია-დოლოროსასკენ“!

ამ გეზით გაიარა ქრისტემ გოლგოთისკენ მიმავალი ბილიკი.

ამ გზაზე ცხრაჯერ შეყოვნდა მაცხოვარი. ოთხჯერ აღმართის პირველ მონაკვეთში, სადაც ოდესღაც ცხოვრობდნენ ღვთისმშობლის მშობლები იოაკიმე და ანა. და კიდევ, ხუთჯერ –გალავნის შიგნით!... და კიდევ ხუთჯერ იქ, სადაც დღევანდელი აღდგომის ტაძრის საინახოა.

ბოლო, მეთოთხმეტეა ჯვარცმის ადგილი! აქ, ყოველი წლის ვნების შვიდეულის ყველაზე მძიმე, სისხლისფერ პარასკევს, მორწმუნენი წმინდა ცეცხლის გარდამოსვლით ხარობენ.

ჩვენ არ გვქონდა ბედნიერება ამ დღეს აქ დავსწრებოდით წმინდა ლოცვებს, მაგრამ ჩვენს ჩამოსვლამდე ისრაელში ჩემი ქალიშვილი და ჩვენი საბა ეზიარნენ ამ მადლს და ესეც უდიდესი ბედნიერება იყო ჩვენი ოჯახისათვის.

...ახლა კი, ქრისტეს პირველ ნამუხლართან ვდგავართ და თაყვანს ვცემთ ზურგზე მძიმე ჯვარგადებული მაცხოვრის ორანს.

დიდება, დიდება მაცხოვარს, რომელმაც სცადა ეხსნა კაცობრიობა უმძიმესი ცოდვებისაგან!

აქედან არაბთა ვიწრო ქუჩა იწყება. აქ ტურისტებს იშვიათად თუ დაატარებენ გიდები. ფრთხილად უნდა იყოთო, გაფრთხილებენ!... ჩვენც ფრთხილად მივუყვებით ფოლორცებს და არაბები სუვენირებს გვთავაზობენ. საფრთხილოს ვერაფერს ვხედავთ!

მეთერთმეტე საუკუნეში ამ ქუჩაზე ქრისტიანული მსვლელობები აიკრძალა! ჯვაროსნების მიერ იერუსალიმის განთავისუფლების შემდეგ კი აღსდგა ძველი ტრადიციები. ფრანცისკანელმა ბერებმა დაადგინეს ამ გზაზე ქრისტეს მარშრუტი, თუმცა, არსებობს „თოთხმეტი შესვენების“ სხვადასხვა ვარიანტი. მთავარი კი, მაინც ის არის, რომ ამ თოთხმეტიდან ცხრა „ვია-დოლოროსას“ მიუყვება, დანარჩენი ხუთი კი მაცხოვრის აღდგომის ტაძარშია მოქცეული.

## 9. დიდებისკენ მიმავალი ტკივილიანი გზა

პირველი შეყოვნება – პილატემ აქ გაასამართლა ქრისტე!

აქ ახლა შემორჩენილია თაღი, რომელზეც მაშინ გადმოდგა პილატე და ხელები დაიბანა!

აქვე, შორიახლოს არის დილეგი, სადაც ხუთშაბათ საღამოს ლოდზე მიაჯაჭვეს მაცხოვარი.

მეორე შეყოვნება, – ეს ნიშა გვახსენებს მაცხოვრის გაშოლტვას!

რომაელ პრეფექტს უფლება ჰქონდა ერთი პატიმარი შეეწყალებინა, მაგრამ ბრბომ ყაჩაღ ბარაბას მიანიჭა თავისუფლება. პილატე იძულებული გახდა მაცხოვრისთვის გამოეტანა ჯვარზე გაკვრის განაჩენი!...

...ბრბო მაშინაც ბრბოს საქციელით იქცეოდა და დღესაც ასე იქცევა, დამეთანხმებით, ალბათ!

მესამე შეყოვნება – ჯვარტვირთული მაცხოვრის პირველი დაცემის ადგილი!

მეოთხე შეყოვნება – იქვეა, გვერდით!... ღვთისმშობლისა და იესოს შეხვედრის ადგილი! აქედან მოყოლებული ღვთისმშობელი არ მოშორებია თავის შვილს!

მეხუთე შეყოვნება – აქედან იესომ ვერ შეძლო წყლით გაჟღენთილი ჯვრის ზიდვა და გოლგოთამდე მძიმე ტვირთის ატანაში მას ყანიდან მომავალი სვიმონ კვირინელი მიეხმარა.

მეექვსე შეყოვნება – სწორედ აქ მიაწოდა თავისი ხელსახოცი ქრისტეს, კაპერნაუმში მის ტანსაცმელზე შეხებით განკურნებულმა მართალმა ვერონიკამ, რომლითაც მაცხოვარმა ოფლიანი პირსახე მოიწმინდა და სასწაულებრივად დატოვა მასზე თავისი სახის ანაბეჭდი.

მეშვიდე შეყოვნება – მაცხოვარი მესამედ დაეცა და საკმაოდ მძიმედაც.

მერვე შეყოვნება – მაცხოვარი კვლავ დაეცა! იერუსალიმელი დედაკაცები მისტირიან მას. ქრისტემ კი, რქვა მათ: – „იერუსალიმის ასულნო, ნუ დამტირით მე, შვილთა თქვენთა და თავთა თქვენთა სტიროდეთ!“

მეცხრე შეყოვნება – კიდევ მორიგი დაცემა მაცხოვრისა!

...შემდეგი, მეათედან მეთოთხმეტემდე შეყოვნებები იმ არეალში მოხდა, რომელსაც დღეს აღდგომის ტაძარი ეუფლება და, რომელშიც ტაძარში ტაძარია ნალოლიავები.

მეათე შეყოვნება – იესოს ტანსაცმელი განძარცვეს!

მეთერთმეტე შეყოვნება – მაცხოვარი ჯვარზე მიალურსმნეს!...

მეთორმეტე შეყოვნება, – თუმცა, ამას „შეყოვნება“ არ უნდა ერქვას! – ჯვარცმა, გოლგოთა!!

...და აქ მოხდა ჩემს ცხოვრებაში უდიდესი სასწაული! არ ვიცი, ცამ მიკარნახა იგი თუ გონებამ!... გოლგოთაზე ამავალი კიბის პირველ საფეხურზე შევდგი ფეხი თუ არა, მომეჩვენა, – იმავე წამს კიბის თავში ვიდექი და ვეთაყვანებოდი უფალს: – დიდება უფალს, დიდება მამასა და ძესა და სული წმინდას!... ამინ!...

ტაძრის სივრციდან ღვთისმშობლის ცრემლიანი სახება შემომცქეროდა თვალებში!

ეს წამი საუკუნისა და მარადისობის წამის ტოლფასი გახდა ჩემთვის!... ჰოი, საოცრებავ!... არც ვიცი როდის გამოვალ ამ შთაბეჭდილებიდან!...

მეცამეტე შეყოვნება – გარდამოხსნა!

მეთოთხმეტე ნიშნულთან კი, ღვთისმშობლის სკულპტურა განისვენებს!

...სადღეისოდ იქიდან, საიდანაც ღვთისმშობელი უმზერდა შვილის წამებას, იმზირება მგლოვიარე დედის ხატი და ცრემლები გვიყვებიან იმ მწუხარებისა და სიამაყის ამბავს, რომელსაც დღესაც განიცდის მთელი ქრისტიანული სამყარო!

სწორედ აქ არის, ჩვენგან უკვე ნახსენები, „ტაძარი ტაძარში“, საფლავი მაცხოვრისა ჩვენისა, საითკენაც ულევ ნაკადად მოედინებიან მასთან თაყვანისმცემელთა მილიონები!

...ჩვენც სამი თუ ოთხი საათია ვდგავართ მაცხოვრის საფლავის ხილვის მსურველთა რიგში და წმინდა საკმევლის სურნელება აკეთილშობილებს სულს!

...და გვეღირსა ბედნიერება, შუბლითა და მკერდით შევხებოდით უდიდეს სიწმინდეს ქვეყნიერებისა!

უფალო, შეგვინდე შეცოდებანი ჩვენნი! უფალო, შენ დაგვილოცე მამული ჩვენი, შენ გვიცოცხლე და გვიბედნიერე მეგობრები ჩვენნი და ცოლ-შვილი და შვილთა შვილები ჩვენნი, მოდგმა და ნაგრამნი ჩვენნი!... ამინ!

...და, როცა აქ ხარ, არ შეიძლება გადადო და არ განფინო თაყვანისცემა აქვე, გვერდით, იმ ტაძარში, რომლის კედლებზე ჯვაროსანთ ათასი ჯვარი დაუტოვებიათ ნიშნად უდიდესი მოწიწებისა მის ამგებთა მიმართ და, რომელსაც მათივე სახელი ჰქვია! ...და ეს წმინდანები გახლავთ მოციქულთა სწორნი, წმინდა ელენე დედოფალი და ძე მისი, იმპერატორი კონსტანტინე!

სწორედ მათ უნდა უმადლოდეს ქრისტიანული სამყარო მსოფლიო აღიარებას! სწორედ იმპერატორ კონსტანტინეს ღვთიური მადლით დაიდგა ბარაქიანი ტაბაკი ქრისტეს მოძღვრებამ „ქი-ან-ა“-ზე!

გვემულ და იავარქმნილ ქრისტეს მოძღვრებას, მეოთხე საუკუნის დასაწყისში მოევლინნენ მხსნელნი უანგარონი.

იმპერატორმა კონსტანტინემ საყოველთაოდ განუცხადა იმპერიას, – თაყვან ეცათ და ერწმუნათ ერთადერთი ჭეშმარიტება, – ქრისტე ღმერთი!

და დაიწყო აღმშენებლობანი ქრისტიანულ ტაძართა და სალოცავთა. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა მირიამ მეფისა და იმპერატორ კონსტანტინეს ურთიერთობათა მადლი:– ქრისტიანულმა საქართველომ მიიღო წყალობა იერუსალიმსა და სირია-პალესტინაში დამკვიდრებისა.

და ამ დღიდან დაიწყო საქართველოს დამკვიდრება მაცხოვრის კიდე-განში!

მანამდე კი, ანდრია პირველწოდებულს უკვე აღეშენებინა წმინდა ტაძარი დიდაჭარაში!...

...დაიწყო უდიდესი და უბრწყინვალესი აღმასვლა ქრისტიანობისა.

იდგა პირველი ათწლეული მეოთხე საუკუნისა!

იმპერატორმა კონსტანტინემ თავის დედა-დედოფალს სთხოვა წვეოდა იერუშალაიმს და სირია-პალესტინაში ექადაგა მოძღვრება ჭეშმარიტებისა.

დედოფალი ელენე ეწვია იერუშალაიმს და უპირველეს ყოვლისა, გადაწყვიტა ეპოვა ჯვარი პატიოსანი, რომელზეც აცვეს მაცხოვარი.

დედოფალი საკუთარი ფეხით დადიოდა ყველგან და ყოველთვის, და აი, ერთმა ებრაელმა მოხუცმა აცნობა ადგილი, სადაც ფარისეველნი ქრისტიანთა სიწმინდეებს ყრიდნენ.

მოიყვანეს მუშები, რომელთაც თავად ედგა თავზე მეოხად დედოფალი.

...და იპოვეს ჯვარი!... ერთი კი არა, სამი! მაგრამ რომელი იყო ჯვარი პატიოსანი?

...იქვე, შემთხვევით მიცვალებულს მიასვენებდნენ და იერუშალაიმის პატრიარქმა ურჩია დედოფალს:

– წმინდაო დედაო, სამივე ჯვარი ცალ-ცალკე შევახოთ მიცვალებულს და... ჯვარი პატიოსანი იტყვის თავისას!...

და მოხდა სასწაული!... ერთ-ერთი ჯვრის შეხების შემდეგ აღსდგა მიცვალებული!

...დიდხანს იდგა მუხლებზე დედა-დედოფალი და ლოცულობდა!

...სალადინის მიერ უარყოფილმა და გადაგდებულმა ჯვარმა აღადგინა სახელი და დიდება ქრისტესი.

...და აღშენდა მთავარი ტაძარი აღდგომისა, რომელიც მეოთხედ გადაეფარა საფლავს უწმინდესს და მრავალთა სხვათა სიწმინდეებს!

და აღშენდა სირია-პალესტინაში და იერუშალაიმში სხვაც მრავალი წმინდა სალოცავი!

მოციქულთა სწორის, დედა-დედოფლისა და წმინდა კონსტანტინეს კალთა გადაეფარა საქართველოს, მათგან ნაბოძები სამსჭვალი და ჯვარი პატიოსნის წმინდა ნაწილები მეფე მირიანის დროიდან უნდა ინახებოდეს საქართველოს სალოცავებში, მაგრამ... თვით ქართველებიც ვერსად ჩანან დღევანდელ წმინდა მიწაზე!

...გარდა ფოლიანტებისა, ვერ მივაკვლიე მათ კვალს!

პატიებას ვითხოვ! – ამ სერიით გამოქვეყნებული ნარკვევების, თითქმის ყველა სტრიქონში გულდაწყვეტით ვამბობ ამას და... გავიხარებ, თუ ჩვენი სასულიერო მამები მიმითითებენ, – ქართული სალოცავები და მსახურება სადმე მაინც თუ არსებობს ამჟამად წმინდა მიწაზე? ქართველები ხომ ოდითგან მოღვაწეობდნენ იესოს ბაბათში, ქმნიდნენ და აშენებდნენ, იქნებ მე ვერ მივაგენი?... იქნებ არ მეყო გამბედაობა, თორემ?..

მოხარული ვიქნები, თუ მცოდნენი გამომეხმაურებიან!

**ზაურ ფიფია**

ია ფიფიას ფოტო.

(გაგრძელება იქნება)


მაცხოვრის საფლავი – „ტაძარი ტაძარში“.

ხელბურთი

# „გორმა“ „კახეთს“ აჯობა



**1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა აღმოსავლეთი ზონის მეორე წრის შეხვედრებში ოთხი გუნდი („ლაგოდეხი“ შეჯიბრებაზე არ ჩამოვიდა) მონაწილეობდა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლო ტურის შეხვედრებს, რომლებსაც აღმოსავლეთის ზონის გამარჯვებული და პრიზიორები უნდა გამოევლინა.**

წარმატებით ითამაშეს გორელებმა, რომლებმაც მეორედაც აჯობეს „კახეთს“ და პირველ ადგილზე გავიდნენ. შარშან მათ აღმოსავლეთში მეორე ადგილი დაიკავეს, საქართველოს ჩემპიონატზე კი მეოთხე ადგილს დასჯერდნენ. წინა წლის ჩემპიონი „თელავი“ და მესამე პრიზიორი „ყვარელი“ წლეულს გაერთიანდნენ, მაგრამ მხოლოდ მეორე ადგილს გამორჩნენ. მესამე იყო „რუსთავი“, რომელმაც ქარელს მოუგო 26:12.

**გორი — კახეთი 37:34**

**„გორი“:** ვათიაშვილი, დალაქიშვილი — 8, ტარუაშვილი — 6, ყანჩაველი — 6, ნიაზაშვილი — 4, ქესანაშვილი- 4, მურადაშვილი — 4, მჭედლიშვილი — 3, გახოკიძე — 2, ტიელიძე, ბეთლემიშვილი, თომაშვილი, სამნიაშვილი, ლომსაძე, ჯაფარიძე. **მწვრთნელი** გია მამაცაშვილი.

**„კახეთი“:** ლილუაშვილი, დანელიშვილი- 9, დოლმაზაშვილი — 7, ყორიაული — 6, კაიშაური — 6, ბაჩიაშვილი — 3, ჯიქურიშვილი — 2, ილაშვილი — 1, ზურაბიშვილი, ხაჩიშვილი, მესხიშვილი, ერგემლიძე. **მწვრთნელი** შალვა მამალაშვილი.

**მსაჯები:** ინა ჭკუასელი, გია წივწივაძე, გიორგი სამყურაშვილი.

**აღმოსავლეთი ლიგა. საბოლოო შედეგები:** „გორი“ — 12, „კახეთი“ — 8, „რუსთავი“ — 4, „ქარელი“ — 0 ქულა.

აღმოსავლეთის ზონის პირველი სამი გუნდი 2015 წელს საქართველოს ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. 10 ნოემბრიდან თბილისსა და სენაკში დედაქალაქისა და დასავლეთის ლიგის გუნდები იასპარეზებენ.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: აღმოსავლეთის ლიგის გამარჯვებული „გორი“.**

ფეხბურთი

# არის ასეთი მესი(ა)

**ის, რაც ჯერჯერობით მიუღწეველი აღმოჩნდა აწ უკვე „ოქროს ბუცის“ სამგზის მფლობელ კრიშტიანუ რონალდუსთვის, უპრობლემოდ მოახერხა ლიონელ მესიმ.**

საუბარია მადრიდის „რეალის“ ლეგენდარულ ბომბარდირ რაულის შედეგიანობის რეკორდზე — 71 გოლი, რომელიც ამსტერდამის „აიაქსთან“ შესრულებული „დუბლით“ — 2:0, „ბარსელონას“ არგენტინელმა ლიდერმა გაიმეორა და, დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, მალევე გააუმჯობესებს (სხვათა შორის, ისევე, როგორც „სამეფო კლუბის“ პორტუგალიელი ვარსკვლავი).

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის მეორე წრე კიდევ ერთი მიღწევით დაიწყო, რომლის ავტორიც დონეცკის „შახტარის“ ბრაზილიელი სნაიპერი ადრიანო გახდა. იგი ამიერიდან ერთადერთია, რომელმაც ერთ კონკრეტულ მეტოქესთან, აღნიშნულ




შემთხვევაში ბელარუსულ ბატესთან, ორივე მატჩში ჰეთ-თრიქი შეასრულა, ხოლო სულ მისი მეტოქე 8-ჯერ(!) დაამწუხრა — 5:0.

**IV ტურის დანარჩენი შეხვედრების შედეგები:** „პარი სენ-ჟერმენი“ — „აპოელი“ 1:0, „მარიბორი“ — „ჩელსი“ 1:1, „სიტი“ — ცსკა 1:2, „ბაიერნი“ — „რომა“ 2:0, „ბილბაო“ — „პორტუ“ 0:2, „სპორტინგი“ — „შალკე“ 4:2.

**გიორგი შოთაძე**

ავტოსპორტი

# ალონსო ცალი ფეხით „მაკლარენშია“

**ფერნანდო ალონსო ახლოსაა „მაკლარენთან“ კონტრაქტის გაფორმებასთან. ამ ინფორმაციას ბიბისი ავრცელებს. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი „ფერარისთან“ კონტრაქტს ორი წლით ადრე დაასრულებს და გადავა გუნდში, რომელიც სკანდალით დატოვა. ალტერნტივის სახით, მას არჩევანში მხოლოდ ერთწლიანი შესვენება ჰქონდა, მაგრამ, როგორც ჩანს, აქამდე საქმე არ მივა.**

როგორც ბიბისი ყვება, ახლა ჯერი „მაკლარენზეა“, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, ჯენსონ ბატონი დაიტოვოს თუ კევინ მაგნუსენი. პირველის კოზირი გამოცდილება და ერთი საჩემპიონო ტიტულია, რასაც უოკინგელთა პარტნიორი „ჰონდა“ მოითხოვს. მეორე კი ახალგაზრდა, ძალიან პერსპექტიული პილოტია, რომლის დაკარგვასაც არც ერთი ძლიერი გუნდი არ ისურვებდა.



უნდა ითქვას, რომ ბრიტანულ გუნდსა და ალონსოს შორის მოლაპარაკება დიდი ხანია გრძელდება. ამჟამად ძირითადი საკითხები შეთანხმებულია და დეტალების განხილვა მიმდინარეობს. როგორც ბიბისის წყარო იტყობინება, ძალიან უნდა გაგვიკვირდეს, თუ 33 წლის ესპანელი კონტრაქტს არ გააფორმებს. მას მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტი სურდა, მაგრამ როგორც ჩანს, ორიანზე დაითანხმეს. პლიუს კიდევ ერთი სეზონი ოპციის სახით.

სხვათა შორის, ოსტინში ყოფნისას ალონსომ მიანიშნა, რომ მისი შემდეგი სვლა მოულოდნელობა არ იქნება. ამჟამად მისგან ყველაზე მოსალოდნელი კი სწორედ „მაკლარენში“ გადასვლაა. „ძალიან ამბიციური გეგმა მაქვს, რაც ჩემი აზრით, კარგი იქნება „ფერარისთვისაც“. თუ ასე მოხდა, ბევრს გავახარებ. მე კმაყოფილი ვარ. ბოლო ორი-სამი თვეა, ყველაფერი ჩემი გეგმის შესაბამისად ხდება“, — ამბობს ალონსო.

გავრცელებული ინფორმაციით, ალონსოს „მაკლარენთან“ ერთწლიანი კონტრაქტი მხოლოდ იმის გამო სურდა, რომ ამ ერთი სეზონის შემდეგ „მერსედესს“ შეიძლება ვაკანსია გაუჩნდეს. უფრო სწორად, ამის შესაძლებლობა სწორედ ორი-სამი თვის წინ არსებობდა, როცა სამქიმიანებმა ნიკო როსბერგთან კონტრაქტი გააგრძელეს, ლუის ჰამილტონთან კი ამას არ ჩქარობდნენ. თუმცა, გერმანულმა გუნდმაც და ჰამილტონმაც არაერთხელ განაცხადეს, რომ მათი ურთიერთობა, მიმდინარე კონტრაქტის დასრულების შემდეგაც გაგრძელდება. როგორც ჩანს, ალონსოსა და უოკინგელებს შორის მოლაპარაკებაც ამ ფაქტორმა დააჩქარა.

რაც შეეხებათ ბატონს და მაგნუსენს, მათ ამ სეზონში დაახლოებით ერთნაირი შედეგები აქვთ. კვალიფიკაციებში დანიელს მცირე უპირატესობა აქვს — ის გამოცდილ თანაგუნდელს 9:8-ს უგებს. მაგრამ რბოლებში უპირატესობა ბატონს აქვს, რომელსაც 94 ქულა აქვს მაგნუსენის 53-ის წინააღმდეგ. დიდი შანსია იმისა, რომ გუნდმა არჩევანი 22 წლის პილოტზე შეაჩეროს, რომელიც ძალიან პერსპექტიულია, თუმცა, ნაკლიც აქვს — რბოლისას საბურავებს ვერ უფრთხილდება.

არაა გამორიცხული, რომ უოკინგელებს საქმე 34 წლის ბატონმა გაუადვილოს — გავრცელებული ინფორმაციით, ის მოლაპარაკებას გამძლეობაზე რბოლების მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე „პორშეს“ გუნდთან აწარმოებს. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდში „რედ ბულის“ ყოფილი პილოტი მარკ ვებერი ასპარეზობს, ვინც ბატონის მეგობარია. სხვათა შორის, ადრე ბატონს ნათქვამი აქვს, რომ არ მოსწონს ლე მანის რბოლა, რომელიც არა მხოლოდ გამძლეობაზე რბოლების, არამედ საერთოდ, ავტოსპორტის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული რბოლაა. მაგრამ ოსტინში მან განაცხადა, რომ პროტოტიპებში გადასვლას არ გამორიცხავს.

**კობა კობახიძე**

ეგზოტიკა

# 3X3 კალათბურთის 18-წლამდელთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს

**3X3 კალათბურთში საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებს, რომელიც 2015 წლის ივნისში ტუნისში გაიმართება.**

3X3 კალათბურთში საქართველოს სანაკრებო გამოცდილება აქვს. ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა წლეულს ივლისში ჰოლანდიაში, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში იასპარეზა და ფინალურ ეტაპზე გასვლამდე ძალიან ცოტა დააკლდა. საქართველო ბურთების შეფარდების გამო ვერ მოხვდა კონტინენტის პირველობაზე. დღესდღეობით საქართველო ევროპის რეიტინგში მე-10 ადგილს იკავებს.



საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები იმ მოთამაშეებიდან უნდა დაკომპლექტდეს, რომლებიც 1997 წლის 1 იანვრის შემდეგ არიან დაბადებულნი და 2014 წლის 1 აპრილიდან 2015 წლის 1 აპრილამდე პერიოდში ფიბა-ს მიერ ლიცენზირებულ მინიმუმ 2 ტურნირში აქვთ მონაწილეობა მიღებული.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატი რუსეთის დედაქალაქში გაიმართა და მას საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი მიწვეული საპატიო სტუმრის რანგში ესწრებოდა. 2014 წელს ჩატარდა 3X3 კალათბურთში საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატიც, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონი მოიცვა და „თბილისი მოლში“ გამართული ფინალური ტურნირით დასრულდა.

**გთავაზობთ მსოფლიოს 2015 წლის ჩემპიონატის მონაწილე 24 გუნდს (ანბანის მიხედვით):** ანდორა, არგენტინა, ბრაზილია, ესტონეთი, საფრანგეთი, საქართველო, გერმანია, გვატემალა, უნგრეთი, ინდონეზია, ყაზახეთი, ლიტვა, ახალი ზელანდია, ფილიპინები, პოლონეთი, პუერტო რიკო, რუმინეთი, რუსეთი, ესპანეთი, ტუნისი, თურქეთი, ურუგვაი, აშშ, ვიეტნამი.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ქერის ორმოში

# მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენები

**მსოფლიოში ერთ-ერთმა რეიტინგულმა ჟურნალმა „ფორბსმა“ წლის ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენების სია გამოაქვეყნა. პირველ ადგილზე ამერიკელი მოკრივე ფლოიდ მეივეზერია, რომლის წლიური შემოსავალი 105 მილიონი დოლარი გახლავთ.**

მეორე ადგილზე პორტუგალიის ეროვნული ნაკრების და მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელი კრიშტიანუ რონალდუა 80 მილიონი დოლარით, ხოლო „ბარსელონას“ არგენტინელი ვარსკვლავი ლეონელ მესი მეოთხე ადგილზე იმყოფება.

კალათბურთელებს შორის ყველაზე მაღალანაზღაურებადი „კლივლენდის“ ლეგენდა ლებრონ ჯეიმსი გახლავთ, ხოლო ჩოგბურთელებს შორის შვეიცარიელი როჯერ ფედერერი ლიდერობს.

რჩეულთა აღნიშნული რეიტინგი დათვლილია როგორც ასპარეზობიდან გამომუშავებული, ასევე სარეკლამო კონტრაქტებიდან მიღებული თანხის გათვალისწინებით.



გთავაზობთ „ფორბსის“ მიხედვით ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენების ათეულს:

**ფლოიდ მეივიზერი (აშშ, კრივი) — 105 მილიონი დოლარი,**

**კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია, ფეხბურთი) — 80,**

**ლებრონ ჯეიმსი (აშშ, კალათბურთი) — 72.3,**

**ლეონელ მესი (არგენტინა, ფეხბურთი) — 64.7,**

**კობი ბრაიანტი (აშშ, კალათბურთი) — 61.5,**

**ტაიგერ ვუდსი (აშშ, გოლფი) — 61.2,**

**როჯერ ფედერერი (შვეიცარია, ჩოგბურთი) — 56.2,**

**ფილ მიკელსონი (აშშ, გოლფი) — 53.2,**

**რაფაელ ნადალი (ესპანეთი, ჩოგბურთი) — 44.5,**

**მეთ რაიანი (აშშ, ამერიკული ფეხბურთი) — 43.8**

**მანუჩარ გიორგაძე**

ბინის ყიდვა გინდა?

# მილიონებად შეფასებული უძრავი ქონება საქართველოში

**დღეს საქართველოში სასურველი უძრავი ქონების მოძიება პრობლემას არ წარმოადგენს. უამრავი ვებგვერდი და სააგენტო გვთავაზობს ბინებს, კერძო სახლებს, საოფისე თუ კომერციულ ფართებს. ჩვენ ყველაზე ძვირად ღირებული სახლებით დავინტერესდით და ამის გასარკვევად უძრავი ქონების სააგენტოებს მივმართეთ. მცირე ექსკურსის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ყველაზე ძვირად ბინები თბილისში იყიდება, თუმცა, ამ მხრივ დედაქალაქს არც სხვა ქალაქები ჩამორჩება — საკმაოდ ძვირია უძრავი ქონება ქუთაისში, ბათუმსა და ზოგადად შავი ზღვის სანაპიროზე.**

მაკლერების თქმით, რაც უფრო მეტი კომფორტია ბინაში, მით უფრო ძვირად აფასებს მფლობელი თავის ქონებას. როცა საცხოვრებელი, ან საოფისე ფართი გარემონტებული და კეთილმოწყობილია, იქ შესაძლოა 1 კვ.მეტრი 2000-2500 დოლარიც კი ღირდეს. ერთ-ერთი სააგენტოს დამფუძნებელმა, რომელმაც თავისი ვინაობის გამხელა საჯაროდ არ ისურვა, გვითხრა: „ამ ეტაპზე 3-მილიონად შეფასებული რამდენიმე სახლი მაქვს გასაყიდი, ერთ-ერთი კრწანისში მდებარეობს. ამ სახლს მფლობელი დიდი ხანია ყიდის, მაგრამ მყიდველი იგვიანებს, რადგან ჩვენთან ძვირად ღირებული ბინები ასე ადვილად არ იყიდება. ჩემი დაკვირვებით, ასეთ ძვირფას ქონებას ძირითადად უცხოელები, ან საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველები ყიდულობენ. საქართველოში 2 და 3 მილიონი დოლარის გადამხდელი კაცი თითზე ჩამოსათვლელია“.

bpn.ge შპს „ბერუკას“ დამფუძნებელსა და დირექტორს ავთანდილ გუგეშაშვილსაც დაუკავშირდა, რომელმაც დაუფარავად ისაუბრა ამ ბიზნესში შექმნილ ვითარებაზე.

ავთანდილ გუგეშაშვილი: **2008 წლის ომამდე უძრავი ქონების ბაზარი გაცილებით მომგებიანი იყო და ძვირად ღირებულ ბინებზე მოთხოვნაც უფრო მაღალი იყო. ომის შემდეგ კი ვითარება გართულდა. ამ ეტაპზე უძრავი ქონების გაყიდვის თვალსაზრისით ჩვენს ქვეყანაში დიდი უძრაობაა. ქონების გაყიდვა ბევრს უნდა, მყიდველი ნაკლებია, რაც საქმეს ძალიან გვირთულებს. ჩემი დაკვირვებით, გასულ წელთან შედარებით ფასი გაზრდილია, რამ გამოიწვია ეს — ძნელი სათქმელია. შეიძლება იმან, რომ სამშენებლო კომპანიებმა ძალიან აწიეს ფასები და თავისი ქონება მეორადი ბინების მფლობელებმაც გააძვირეს. რაც შეეხება ძვირად ღირებულ ბინებს, ისინი ორად უნდა გავყოთ — საცხოვრებელი ბინა კორპუსში და კერძო სახლი, რომელსაც თავისი ეზო და კარ-მიდამო აქვს. როგორც წესი, კერძო სახლები უფრო ძვირი ღირს. კერძო სახლის მაქსიმალური ღირებულება, რომელიც მახსოვს, 2 მილიონი დოლარი იყო. არის შენობები, რომელიც საცხოვრებელი არ არის, მაგრამ ძალიან ძვირია, მაგალითად: სასტუმროები, საწარმოს შენობები, მიწის ნაკვეთები, რომლებსაც ძალიან მაღალი ფასი აქვს. როცა ფართობი დიდია, ღირებულებაც შესაბამისად, უფრო მეტია. დღესდღეობით უძრავი ქონების სააგენტოებს სერიოზულ კონკურენციას უწევენ ვებგვერდები. რატომ უნდა შეაწუხოს მყიდველმა უძრავი ქონების სააგენტო, როცა ამ საქმის მოგვარება ინტერნეტითაც შეიძლება? ბინის მეპატრონეები ამ ვებგვერდებზე ათავსებენ განცხადებებს და მყიდველიც იქ კითხულობს ყველა საჭირო ინფორმაციას“.**

bpn.ge-სთან საუბრისას, შპს „რელტოს“ ხელმძღვანელმა კახა მიქაიამაც აღნიშნა, რომ ხშირად მიწის ნაკვეთი, ან კომერციული ფართი კერძო სახლზე ძვირი ღირს: **„ამჯერად, ფოთში, პორტთან ახლოს იყიდება ნაკვეთი, რომელიც 1 მილიონ 300 ათასი დოლარი ღირს. იქ შენობა-ნაგებობა და დანადგარებიც არის. საკმაოდ ძვირად ღირებული მიწები გვაქვს კახეთში, ტერიტორია დიდია და ფასი დაახლოებით 700 ათას დოლარს აღწევს. რაც შეეხება ძვირად ღირებულ სახლებს, თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ახლაც გვაქვს გასაყიდი კერძო სახლი, რომელიც 2 მილიონი დოლარი ღირს, იგივე ფასი ღირს ბინა ვაკეში, რომელიც მთელ სართულზეა გადაშლილი. ასეთი ძვირად ღირებული ქონების გაყიდვა ძალიან რთულია, დიდი ძალისხმევაა საჭირო, რომ იპოვო ადამიანი, ვინც უძრავ ქონებაში ამხელა თანხის ჩადებას მოინდომებს“.**



არანაკლებ საინტერესო ვითარებაა უძრავი ქონების გაქირავებისა და დაგირავების მხრივ. როგორც შპს „თბილისი რენტის“ წარმომადგენელი თათია ზამთარაძე ამბობს, ზოგჯერ ბინის დაგირავება უფრო ძვირი ღირს, ვიდრე მისი ყიდვა. **„ზოგჯერ ქირაში 3000-5000 დოლარსაც იხდიან, ოღონდ ეს საუკეთესო, კომფორტული ბინებია, რომლებიც ვაკეში, საბურთალოზე, ვერაზე, სოლოლაკში და თბილისის ცენტრალურ უბნებში მდებარეობს. ასეთ ძვირად ღირებულ ბინებს მარტო უცხოელები ქირაობენ. ხშირად მათი სამსახური იხდის ამ თანხას. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ბოლო ერთი წელია, ასეთ ძვირფას ბინებზე მოთხოვნა ნაკლებია“,** — ამბობს თათია ზამთარაძე.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

ეპიტაფია

# პროფესორი ჯემალ ვარლამის ძე ჩოგოვაძე

5 ნოემბერს მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მშენებლობის ეკონომიკისა და მენეჯმენტის №107 დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ჯემალ ვარლამის ძე ჩოგოვაძე**.

ბატონი ჯემალი დაიბადა 1936 წელს ქ. თბილისში. 1959 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობის ინჟინრის კვალიფიკაციით. 1959-60 წლებში მუშაობდა ხრამჰეს-2 მშენებლობაზე ცვლის ინჟინრად და ლაბორატორიის გამგედ, 1960-62 წლებში — ნაგებობათა და ჰიდროტექნიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროს ინჟინრად; 1962-68 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჯერ იყო ასპირანტი, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შემდეგ — უმცროსი მეცნიერ-მუშაკი. შემდეგი წლები დაუკავშირა საინჟინრო საქმიანობას და 1968-72 წლებში იმუშავა „საქმონტაჟსპეცმშენში“ სამშენებლო სამმართველოს უფროსად, სადაც მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის წოდება.



ცხოვრების შემდგომი პერიოდი უკავშირდება კვლავ სამეცნიერო მოღვაწეობებს.1972-85 წლებში მუშაობდა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და ჰიდრონაგებობათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ მუშაკად , ხოლო 1985 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის მშენებლობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის №23 კათედრაზე (ამჟამად მშენებლობის ეკონომიკისა და მენეჯმენტის №107 დეპარტამენტი). განვლო პედაგოგიური გზა დოცენტობიდან, შემდგომ პროფესორის, 1991 წლიდან კათედრის გამგისა და 2012 წლიდან დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე; 1988-91 წლებში შეთავსებით ეკავა სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოადგილის თანამდებობა.

2000 წელს დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, გამოქვეყნებული აქვს 80-მდე სამეცნიერო სტატია, 6 სახელმძღვანელო, აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციების მუშაობაში, მისი გამოსვლები ხასიათდებოდა აქტუალური თემატიკითა და სამეცნიერო სიახლეებით, ასევე მისი სამეცნიერო სტატიები გამოირჩევა თეორიული და პრაქტიკული საკითხების ღრმა ანალიზით, რამაც ხელი შეუწყო მშენებლობაში თანამედროვე ტექნიკური და სამეცნიერო სიახლეების დანერგვას.

პროფესორი ჯემალ ჩოგოვაძე თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური მოთხოვნილებების გათვალისწინებით მუდმივად ზრუნავდა სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატის და სამშენებლო ფაკულტეტის დეკანატის მხარდაჭერით სამშენებლო საქმიანობაში ეკონომიკური, მენეჯმენტური და ბიზნეს ადმინისტრირების დისციპლინების შესწავლა ბატონი ჯემალის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდა. მისი ექვსი სახელმძღვანელო აღნიშნული პრობლემების შესწავლაზეა აქცენტირებული, მათ შესასწავლად ასევე შექმნილია სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები.

მის საყვარელ ოჯახთან ერთად გულისტკივილით ვემშვიდობებით ჩვენს მეგობარსა და კოლეგას, პროფესორ ჯემალ ჩოგოვაძეს.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებლობის ეკონომიკისა და მენეჯმენტის №107 დეპარტამენტი.**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის მშენებლობის ეკონომიკისა და მენეჯმენტის №107 დეპარტამენტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**ჯემალ ვარლამის ძე ჩოგოვაძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი: 7 და 8 ნოემბერს 17 საათიდან, გამოსვენება 9 ნოემბერს, 14 საათზე, თბილისი, ბალანჩივაძის 2, VI სართული, ბინა 22.**

**კირა მიქელაძე, მერაბ ბერძენიშვილი უღრმეს სამძიმარს უცხადებენ ელენე, დათო, ვანო, მედა, ვახტანგ მახარაძეების ოჯახს ძვირფასი დედის, მეუღლისა და რძლის, უკეთილშობილესი ქალბატონის**

**მაკა ჩეჩელაშვილი-მახარაძის**

**გარდაცვალების გამო.**

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, ღვაწლმოსილი სამეურნეო მუშაკი და აქტიური საზოგადო მოღვაწე, მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციითა და პასუხისმგებლობით გამორჩეული ჭეშმარიტი მამულიშვილი**



**ანზორ თევზაია**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

სად სწავლობდნენ მილიარდერები

# უმრავლესობას უმაღლესი განათლება აქვს მიღებული

**გამოკითხვა** UBS **ბანკმა და სინგაპურულმა კომპანია** Wealth-X**-მა ჩაატარა. საკუთარი ცხოვრების ასპექტები 2300-მა მილიარდერმა გაასაჯაროვა. შედეგებმა საბოლოოდ დაამსხვრიეს მითი იმის შესახებ, რომ მათ ყველაფერი თვითონ ისწავლეს და ყველაფერს თავად მიაღწიეს. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ სუპერმდიდარი ადამიანების უმეტესობას არა მხოლოდ უმაღლესი განათლება აქვს, არამედ დისერტაციებიც დაუცავს და ყოველ მეათეს დოქტორის ხარისხიც მიუღია. მონაცემებზე დაყრდნობით გაირკვა, რომ მილიარდერები პრესტიჟულ უნივერსიტეტებში სწავლობდნენ, რომელთა უმეტესობა აშშ-ში მდებარეობს.**

პირველ ადგილზე **პენსილვანიის უნივერსიტეტი** იმყოფება, მას მოსდევს **ჰარვარდი, იელი, სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტი, პრინსტონი, კორნელის და სტენფორდის უნივერსიტეტები.** ასევე გაირკვა, რომ მილიარდერების უმეტესობამ წარმატებას საფინანსო სფეროში მიაღწია, განსაკუთრებით საბანკო და საინვესტიციო სექტორში. ინდური ეკონომიკის საგრძნობმა განვითარებამ მუმბაის უნივერსიტეტს მეცხრე ადგილი მიანიჭა. ერთადერთი ბრიტანული უნივერსიტეტი, რომელიც ათეულში მოხვდა, ლონდონის ბიზნესის სკოლა აღმოჩნდა. სიაში არ მოხვდა არც ოქსფორდის და არც კემბრიჯის უნივერსიტეტები. რუსი ოლიგარქების წყალობით, მე-11 ადგილი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაიკავა.

კვლევის თანახმად, ყველაზე მდიდარი ადამიანები თითქმის ერთსა და იმავე ადგილებში არიან თავმოყრილები. მაგალითად, ევროპელი მილიარდერების 40% ძირითადად 10 ქალაქში ცხოვრობს, რომელთა შორის ლიდერობს ლონდონი და მოსკოვი. მილიარდერების რაოდენობით მსოფლიოს დედაქალაქის წოდება ნიუ-იორკს ეკუთვნის. ამასთან, უფრო ნათელი გახდა კონტრასტები, მაგალითისთვის, ნიგერიაში ყველაზე დიდი რაოდენობაა იმ ბავშვებისა, რომელთაც არ აქვთ სწავლის საშუალება, იმის გათვალისწინებით, რომ ნიგერიას აქვს უნარი აფრიკაში მილიარდერების რაოდენობით პირველი ქვეყანა გახდეს.

1. **პენსილვანიის უნივერსიტეტი**
2. **ჰარვარდის უნივერსიტეტი**
3. **იელის უნივერსიტეტი**
4. **სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტი**
5. **პრინსტონის უნივერსიტეტი**
6. **კორნელის უნივერსიტეტი**
7. **სტენფორდის უნივერსიტეტი**
8. **კალიფორნიის უნივერსიტეტი ბერკლიში**
9. **მუმბაის უნივერსიტეტი**
10. **ლონდონის ეკონომიკის სკოლა**
11. **მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
12. **ტეხასის უნივერსიტეტი**
13. **დართმუტის კოლეჯი**
14. **მიჩიგანის უნივერსიტეტი**
15. **ნიუ-იორკის უნივერსიტეტი**
16. **დიუკის უნივერსიტეტი**
17. **კოლუმბიის უნივერსიტეტი**
18. **ბრაუნის უნივერსიტეტი.**

## ჩვენი კარაბადინი

### რეჟიმი – ტანკენარობის საწინდარია

**იმ ქალებს, რომლებიც ყოველდღე წვებიან დასაძინებლად და იღვიძებენ ერთსა და იმავე დროს, შეენიშნებათ ორგანიზმში ცხიმის უფრო დაბალი დონე, ამტკიცებენ ამერიკელი მეცნიერები.**

**მათს გამოკვლევაში მონაწილეობა ამერიკის შეერთებული შტატების ორი უდიდესი უნივერსიტეტის 17-26 წლის ასაკის 300-ზე მეტმა სტუდენტმა გოგონამ მიიღო. მეცნიერებმა გამოკვლევის მონაწილეთა სხეულის ქსოვილების შემადგენლობა შეაფასეს და მისცეს მათ მოწყობილობანი, რომლებიც ერთი კვირის განმავლობაში თვალყურს ადევნებდნენ მათი ძილისა და დღისით გადაადგილებების რეჟიმს.**



**გამოკვლევის შედეგებმა აჩვენეს, რომ:**

დილით ერთსა და იმავე დროს რეგულირალურ გამოღვიძებას ორგანიზმში ცხიმის უფრო მცირე ოდენობასთან მივყავართ;

ძილის ხანგრძლივობა 6,6 საათზე ნაკლები დროით და 9,5 საათზე მეტი ხნით დაკავშირებულია ცხიმის შემცველობის ამაღლებასთან;

ძილის ხანგრძლივობა 8-დან 6 8,5 საათამდე დაკავშირებულია ცხიმის მინიმალურ შემცველობასთან;

მერყეობას ძილის ხანგრძლივობაში 90 წუთით იქით ან აქეთ მხარეს მივყავართ ცხიმის უფრო დიდ შემცველობასთან ორგანიზმში, ვიდრე მერყეობას 60 წუთი.

**ინფორმაციას კომენტარს უკეთებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი თინა დარბაიძე.**

— ასეთ ურთიერთდამოკიდებულებას ახსნა აქვს. ღამის ძილის ნორმალიზაცია, მისი საკმარისი ხანგრძლივობა ნაყოფიერად აისახება ადამიანის განწყობილებასა და ფსიქიკურ მდგომარეობაზე, ხელს უწყობს სტრესებისადმი უკეთეს ადაპტაციას, წინააღმდეგობას უწევს, კერძოდ, სტრესების მოჭარბებას და ამასთან დაკავშირებულ სხეულის მასის ზრდას.

### ვისთანაც გიწევს ყოფნა...

**ადამიანთა სხეულის აგებულება, ვისთანაც თქვენ სადილობთ, გავლენას ახდენს იმაზე, თუ რამდენს მიირთმევთ და რომელ კერძებს ანიჭებთ უპირატესობას, მიაჩნია მსოფლიოში ყველაზე ცნობილ სპეციალისტს ზედმეტი კვების დარგში ბრაიან ვანსინგს. მის ექსპერიმენტში 82 სტუდენტი მონაწილეობდა. სადილის დროს თითოეულს უნდა ამოერჩია, თუ რამდენ ბოსტნეულის სალათს და რამდენ სპაგეტს ხორცის სოუსით შეჭამს. ყოველ სტუდენტთან ტრაპეზს იზიარებდა დაქირავებული მსახიობი ქალი.** ამ დროს მისი სახე და საქციელი იცვლებოდა: იგი ხან ტანკენარად გამოიყურებოდა, ჭამდა ბევრ ბოსტნეულს და ცოტა სპაგეტს; ხან, თუმცა, კი გამოიყურებოდა წელში გამოყვანილად, ჭამდა ბევრ სპაგეტს და თითქმის არ მიირთმევდა ბოსტნეულს; ხან კიდევ ტანსაცმლის ქვეშ იდებდა რაღაცებს, რომ სქელი ყოფილიყო, მაგრამ ჭამდა ბოსტნეულს და ცოტა სპაგეტს; ხან კი, როდესაც მსუქანი იყო, ჭამდა ბევრ სპაგეტს და ცოტა ბოსტნეულს.

მოხალისეებიდან არავის ეჭვიც არ ეპარებოდა, თუ, კერძოდ, რას იკვლევდნენ მეცნიერები. მათ საკვებს წონიდნენ მანამ, სანამ ჭამას დაიწყებდნენ, და ანგარიშობდნენ რამდენი საკვები დარჩა თეფშზე სადილის შემდეგ.

თუ მსახიობი მაყურებლის წინაშე წარმოგვიდგებოდა მსუქნად, სტუდენტებს თეფშზე გადაჰქონდათ საშუალოდ 31,6 პროცენტით მეტი სპაგეტი, ვიდრე ჩვეულებრივად, მაშინაც კი, თუ თანამოტრაპეზეს ერჩია სალათი. უფრო მეტიც, სწორედ ამ სიტუაციაში სალათისადმი მათი მიუღებლობა იზრდებოდა, და ისინი იღებდნენ მას 43,5 პროცენტით ნაკლებს, ალბათ, მიაჩნდათ, რომ არც ისე სასარგებლოა ფიგურისათვის, როგორც მასზე საუბრობენ ხოლმე, რახან კონკრეტულად ამ ქალს იგი არ დაეხმარა, რომ გამხდარი ყო.

### ოქროს საწმისი

**იმ ბავშვებს, რომლებსაც ცხოვრების პირველი სამი თვის განმავლობაში ეძინათ ცხოველთა ტყავზე, მნიშვნელოვნად აქვთ დაქვეითებული ალერგიულ დაავადებათა რისკი, აჩვენა გერმანელი მეცნიერების გამოკვლევამ.** იმ მიკრობული გარემოს ზემოქმედება, რომელიც არის ცხოველთა კანსა და ბეწვზე, იცავს პატარა ბავშვებს სამომავლოდ ასთმის განვითარებისგან. მაგალითად, ექვსი წლის ასაკში მათ ასთმის დაავადების ალბათობა აღმოაჩნდათ 79 პროცენტით დაბლა, ათი წლის ასაკისათვის ეს რისკი 41 პროცენტით დაბლა იყო.

### ნუ დავიძინებთ საჭესთან

**საჭესთან ხანგრძლივი ყოფნის დროს რით უნდა იუმჯობესებდეს მძღოლი სიფხიზლეს: ხმამაღალი მუსიკით თუ კოფეინიანი სასმელით? ამ საკითხზე მუშაობდნენ ამერიკელი მეცნიერები.**

20 მოხალისე დღე-ღამეში ერთხელ 3 დღის განმავლობაში გადიოდა ორსაათიან გამოცდას მანქანის ტარების სტიმულატორზე. აღმოჩნდა, რომ კოფეინიც, ხმამაღალი მუსიკაც ერთნაირად კარგად გვეხმარება, რომ არ დავიძინოთ. მაგრამ აი, ყურადღება გვინარჩუნდება უფრო მაღალ დონეზე, თუ კოფეინს მივიღებთ. შესაძლებელია, ასე ხდება იმიტომ, რომ ხმები დამატებით ფანტავს მძღოლის ყურადღებას.

### გამოკითხვა

**იწონებთ დიდ სხვაობას ასაკში ცოლ-ქმარს შორის?**

**39 პროცენტი — არა, ასეთი წყვილი განწირულია გაყრისთვის.**

**23 პროცენტი — ვიწონებ, თუ წყვილში უფროსი მამაკაცია**

**19 პროცენტი — რატომაც არა?**

**19 პროცენტი —ჩემთვის სულ ერთია**

### ნობელის პრემია - GPS-თვის

**მედიცინაში 2014 წლის ნობელის პრემიის ლაურეატები გახდნენ ბრიტანელ-ამერიკელი მკვლევარი ჯონ ო კიფი და ნორვეგიელი ცოლ-ქმარი ედვარდ და მაი — ბრიტ მოზერები. პრმია მიენიჭა თავის ტვინში იმ უჯრედების აღმოჩენისათვის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ორიენტაციისათვის სივრცეში.**

მოზერებისა და ო კიფის შრომის შედეგები გვეხმარება გავიგოთ ბიოლოგიური მექანიზმი, რომელიც მდებარეობს სივრცის ორიენტაციისადმი უნარის სრული დაკარგვის საფუძველში, რაც შეენიშნებათ ალცჰეიმერის დაავადების პაციენტებს.

ЗДОРОВЬЕ

## მკურნალი წინდები

### ფეხების ტკივილი გაწუხებთ?

**თურქეთის ლიცენზირებული ფირმა „POLAT“-ი ფეხების ტკივილისგან თავის დასაღწევად უნიკალური თვისებების მქონე სპეციალურ წინდებს გთავაზობთ.**



**ყველა ტიპის დიაბეტის, გულის სისხლძარღვთა და კანის სხვადასხვა ინფექციით გამოწვეული ფეხის დაავადებათა მკურნალობისას საგანგებო წინდები შეუცვლელი და უებარი საშუალებაა! ასეთი წინდები მისწრებაა იმათთვის, ვისაც ხანგრძლივი დროით ფეხზე დგომა ან გადაადგილება უწევს, აქვს კოჟრები, სოკოვანი დაავადებები, ოფლიანობა და სპეციფიკური სუნი!**

**წინდები ჩვეულებრივად ნელ-თბილ წყალში ირეცხება, მიზანშეწონილია მათი მთელი დღე-ღამის განმავლობაში ტარება.**

**შესაძენად დარეკეთ 299-62-77 (გ. ახვლედიანის 19), იკითხეთ კუკური.**

### პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

**— თქვენი ქალიშვილი მზადაა, ცოლად რომ გამომყვეს!**

**— თქვენივე ბრალია. რატომ დადიოდით ჩვენთან ყოველ საღამოს?**

* * *

**— ექიმო, ოქროს კოვზი გადავყლაპე.**

**— როდის?**

**— ამ სამი თვის წინათ.**

**— უფრო ადრე რად არ მოხვედით?**

**— აქამდე ფინანსური პრობლემები არ მქონია.**



* * *

**— მე შენთვის ნამდვილი კონკია ვარ — გირეცხავ, გიკერავ, საჭმელს გიმზადებ...**

**— ხომ გეუბნებოდი, ცოლად თუ გამომყვები, ისე იცხოვრებ, როგორც ზღაპარშიმეთქი.**

* * *

**სიდედრმა მთხოვა, მეყიდა მისთვის რაიმე ზღვის პროდუქტებიდან, რათა დელიკატესით დამტკბარიყო.**

**მეც ვუყიდე ზღვის მარილი, დაე დატკბეს.**

* * *

**განცხადება: სასწრაფოდ გვჭირდება უმაღლესი განათლების და შრომითი გამოცდილების მქონე, გაუთხოვარი, 25 წლამდე ასაკის სიმპათიური გოგო ქუჩაში წინდებისა და კოლგოტკების გასაყიდად.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24